# საქართველოს რესპუბლიკა

ვებ გვერდი: www.sakresp.ge






იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდ-ვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურ-თის გატანა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.


სამშაბათი, 26 იანვარი. 2016 წ. №14 (7906), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.


რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

◉ დღეს – ხვალისთვის

## ჩვენი მთავრობის მიზანია უკეთესი ცხოვრების შესახებ საქართველოს ყოველი მოქალაქის ოცნების რეალობად ქცევა

### ატლანტიკური საბჭოს ინტერვიუ საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილთან

ატლანტიკური საბჭო საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილთან ვრცელ ინტერვიუს აქვეყნებს. აშშ კუმარ სენთან საუბრისას, გიორგი კვირიკაშვილმა ახსნა, თუ რატომ იმსახურებს საქართველო NATO-ს წევრობას. მან ასევე განიხილა რუსეთთან ურთიერთობების საკითხები. კვირიკაშვილის თქმით, ევროკავშირისა და NATO-ს წევრობასთან დაკავშირებით საქართველოს ოცნების ხორცშესხმა მისი ადმინისტრაციის უმთავრესი პრიორიტეტი იქნება.

**– მას შემდეგ, რაც ჩერნოგორიამ NATO-სგან მიიღო გაწევრების შეთავაზება, ხართ თუ არა უფრო ოპტიმისტურად განწყობილი, რომ ივლისში დაგეგმილ ვარშავის სამიტზე საქართველო მიიღებს წევრობის სამოქმედო გეგმას თუ არა, ნათელ გზამკვლევს მაინც?**

– უწინარესად, ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ მივესალმებით ჩერნოგორიისთვის გაკეთებულ შეთავაზებას. ეს გადაწყვეტილება კიდევ ერთხელ ადასტურებს NATO-ს მხრიდან ღია კარის პოლიტიკისადმი ერთგულებას.

დღეს საქართველოს თანამშრომლობა ალიანსთან უფრო მტკიცეა, ვიდრე ოდესმე. ჩვენ წარმატებით ვახორციელებთ 2014 წლის უელსის სამიტზე დამტკიცებულ NATO-საქართველოს არსებით პაკეტს. 2015 წლის აგვისტოში გაიხსნა ტრენინგისა და შეფასების ერთობლივი ცენტრი, რომელიც ყველაზე მსხვილი პროექტია პაკეტის ფარგლებში. ამის პარალელურად, თავდაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობის მიზნით საქართველოში გამოიგზავნა NATO-ს ექსპერტთა ჯგუფი. 2015 წელს ჩატარდა NATO-საქართველოს ფართომასშტაბიანი სამხედრო წვრთნები სახელწოდებით „მებრძოლი სული“.

საქართველო არის NATO-ს მტკიცე მხარდაჭერის მისიის სიდიდით მეორე წვლილის შემტანი ავღანეთში. გარდა ამისა, 2015-2017 წლებში საქართველო უზრუნველყოფს ქართული ასეულის მონაწილეობას NATO-ს სწრაფი რეაგირების ძალებში. NATO-ს მისიებში მონაწილეობით საქართველომ დაამტკიცა, რომ მას აქვს საერთო უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში წვლილის შეტანის უნარი.

ამ ეტაპზე ნაადრევია ვარშავის NATO-ს სამიტის შედეგებზე ლაპარაკი. დარწმუნებული ვართ, რომ NATO-ს გადაწყვეტილება დაეფუძნება საქართველოს მიღწევებს, ასახავს პროგრესს საქართველოს ინტეგრაციის გზაზე და კიდევ უფრო ახლოს მიგვიყვანს ჩვენს საბოლოო მიზანთან, ანუ NATO-ს წევრობასთან.

**– რა სახის გარანტიებს ელოდებით საქართველოს დასავლელი პარტნიორებისგან (განსაკუთრებით ამერიკის შეერთებული შტატებისგან) იმისთვის, რომ ძალაში დარჩეს საქართველოს ევროატლანტიკურ ინტეგრაციასთან დაკავშირებული საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტი, ასევე წახალისებული იყოს საქართველოს ერთგულება რეფორმებისადმი?**

– ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია არის საქართველოს მოსახლეობის ურყევი არჩევანი, რომელზეც ქვეყნის ძირითად პოლიტიკურ ძალებს შორის არსებობს კონსენსუსი. საქართველოს არჩევანს განაპირობებს დემოკრატიის, ადამიანის უფლებათა, კანონის უზენაესობის, თავისუფლებისა და მშვიდობის საყოველთაო ღირებულებები.

საქართველოში გატარებული ძირითადი ინსტიტუციური რეფორმების მთავარი მიზანია ქვეყნის მოდერნიზაცია და დემოკრატიისა და კეთილდღეობისკენ მიმავალი გზის შეუქცევადობის უზრუნველყოფა. საქართველო განიხილავს ევროპულ და ევროატლანტიკურ ინტეგრაციას როგორც ამ მიზნების მიღწევისა და შემდგომი განმტკიცების შესაძლებლობას.

წინსვლა ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესში საქართველოს მოქალაქეებს მისცემს სტიმულს, რომ მათ მომავალშიც დაუჭირონ მხარი რეფორმებს. ჩვენ არ ვეძებთ მოკლე გზებს და არ მოველით მყისიერ პროგრესს ინტეგრაციის პროცესში. მეორე მხრივ, ძალიან მნიშვნელოვანია, დავანახოთ ჩვენს ხალხს, რომ ეს პროცესი არ არის შეჩერებული და რომ მას მოაქვს ხელშესახები შედეგები.

იხ. 2 გვ.



**ოდესიდან მაოხრებელი გზირი პრობლემებს ქმნის და ეს პრობლემები „ოცნებამ“ ჩოხასავით მოირგო!**

3

**ლევან კობიაშვილი:**



**...ცხადაძის ბოლო-დროინდელი ამბებიც სწორედ იმ ჯგუფების ინიციატივაა, რომლებსაც ფედერაციის არჩევნებში წაგება ვერ მოუნელებიათ!**

8

**როცა წინაპართა სიბრძნესა და გამოცდილებას არ გავითვალისწინებთ, შედეგი მუდამ სავალალო იქნება!**

4





**რა პროექტები იგეგმება ლევილის მამულში და რა ეტაპზეა საქართველოსთვის მამულის გადმოცემის პროცედურა**

12

**ბატონო პრემიერო, გამოიყენეთ თქვენი უფლება ქონების პირდაპირი მიყიდვის შესახებ!**

5

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.469; ევრო - 2.676;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.523;
100 რუბლი - 3.008; თურქული ლირა - 0.819;
აზერბაიჯანული მანათი - 1.548;
1000 სომხური დრამი - 5.087

**ამინდი 26 იანვრისთვის**

აღმოსავლეთ საქართველო:

| | | |
|---|---|---|
| ბარი - | ღამე -7, | დღე +1 |
| მთიანი რაიონები - | ღამე -12, | დღე -2 |

დასავლეთ საქართველო:

| | | |
|---|---|---|
| ბარი - | ღამე -5, | დღე +2 |
| მთიანი რაიონები - | ღამე -10, | დღე 0 |
| თბილისი: | ღამე -5, | დღე -2 |


**ჩვენი მისამართია:**
თბილისი,
მაჩაბლის ქ. №7
რეკლამა:
293-37-87,
599-79-76-79

(პირველი გვერდიდან)



# ჩვენი მთავრობის მიზანია უკეთესი ცხოვრების შესახებ საქართველოს ყოველი მოქალაქის ოცნების რეალობად ქცევა

**— როგორია საქართველოს პრიორიტეტები ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთობებში?**

— აშშ არის საქართველოს მნიშვნელოვანი სტრატეგიული მოკავშირე, ხოლო ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობები მმართველობის ყველა დონეზე უპრეცედენტოდ მტკიცეა. პიროვნულ დონეზე კი, ჩემი სურვილია, შევასრულო მაკავშირებლის როლი ჩვენს ქვეყნებს შორის. ილინოისის უნივერსიტეტში სტუდენტობის პერიოდთან ძალიან თბილი მოგონებები მაკავშირებს. სასიამოვნო დამთხვევაა, რომ ჩვენ სამივეს — მე, პრეზიდენტ ობამასა და იან კელის (აშშ-ის ელჩი საქართველოში) ილინოისთან გვაქვს კავშირები.

ვიცი, რომ ამერიკას ბევრის შეთავაზება შეუძლია საქართველოსთვის და საქართველოსაც ბევრის შეთავაზება შეუძლია ამერიკისთვის.

უსაფრთხოების სფეროში მზარდი თანამშრომლობისა და სატრენინგო პროგრამების გარდა, ჩვენ უნდა გავააქტიუროთ ჩვენი ეკონომიკური კავშირები. ამერიკა არის საქართველოს ყველაზე მსხვილი სავაჭრო პარტნიორი (ორმხრივი სავაჭრო ბრუნვა შეადგენს დაახლოებით 355 მლნ დოლარს). თუ გონივრულად გამოვიყენებთ ჩვენი მჭიდრო პოლიტიკური ურთიერთობების მტკიცე საფუძველს, მალე ორმხრივი ვაჭრობა ამერიკასთან მილიარდ დოლარსაც გადააჭარბებს.

ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ ამერიკული კომპანიების ინფორმირებას საქართველოში არსებული ეკონომიკური შესაძლებლობების შესახებ, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო წარმოების, ტრანსპორტისა და ჰიდროელექტროენერგიის წარმოების სფეროებში.

დადგა დრო, ჩვენი პარტნიორობა ახალ ეტაპზე გადავიყვანოთ, როცა საქართველო-ამერიკის ურთიერთობები გახდება რეგიონში სტაბილურობის, ეკონომიკური განვითარებისა და დემოკრატიზაციის ქვაკუთხედი.

**— შარშან, ატლანტიკურ საბჭოზე თქვენ რუსეთი დაახასიათეთ როგორც „საგარეო ურთიერთობებისა და უსაფრთხოების კუთხით საქართველოს წინაშე მდგარი ყველაზე დიდი გამოწვევა“. ხართ თუ არა კმაყოფილი რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკებებში (ჟენევის მოლაპარაკებების ჩათვლით) დღეისთვის მიღწეული შედეგებით? ხედავთ თუ არა რუსეთის მხრიდან საპასუხო მზადყოფნას დაძაბულობის შემსუბუქებასთან დაკავშირებით? როგორ აბალანსებთ რუსეთთან მიმართებით თქვენს პოლიტიკას და აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან შერიგებისკენ მიმართულ ძალისხმევას?**

— ჟენევის შეხვედრების ფარგლებში ჩვენ გვაქვს პრინციპული მოლაპარაკებები რუსეთთან პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენლის მეშვეობით. იმის მიუხედავად, რომ რუსეთს გადასადგმელი აქვს მნიშვნელოვანი ნაბიჯები, უკვე გაუმჯობესდა რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობები, ასევე ტურისტული და კულტურული კავშირები. საქართველოს მოქალაქეთათვის სავიზო რეჟიმის გამარტივების შესახებ რუსეთის გადაწყვეტილება შეფასდა როგორც პოზიტიური ნაბიჯი.

თუმცა, რუსეთის მოქმედებები (მაგალითად, ე.წ. თანამშრომლობის შეთანხმებები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან) ყურადღების მოდუნების ფუფუნების საშუალებას არ გვაძლევს.

ჩვენ ვდგამთ ნაბიჯებს ჩვენს აფხაზ და ოს ძმებთან შერიგებისკენ. ჩვენი სურვილია, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებმა მოსახლეობამ მიიღოს ის რეალური სარგებელი, რომლის შეთავაზებაც შეუძლია ევროპულ და გლობალურ ეკონომიკაში სრულად ინტეგრირებულ თანამედროვე სახელმწიფოს. ამ მიზნის მისაღწევად ჩვენი მთავარი ინსტრუმენტებია დემოკრატია და კანონის უზენაესობა, ასევე საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერის მობილიზაცია.

**— რატომ არის ევროკომისიის რეკომენდაცია ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლასთან დაკავშირებით ასე მნიშვნელოვანი თქვენი ქვეყნისთვის?**

— ეს არის უდიდესი ნაბიჯი საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე. ის მნიშვნელოვანია ბევრი თვალსაზრისით.

ევროკომისიის რეკომენდაცია საქართველოს მოქალაქეთათვის ევროკავშირში უვიზო მიმოსვლასთან დაკავშირებით ალიარებს ჩვენს ერთგულებას ევროპული ღირებულებებისადმი და ჩვენი მთავრობის უნარს, განახორციელოს რთული და ეფექტიანი რეფორმები.

რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ეს ნიშნავს, რომ ქართველთა თაობების ნატვრა 2016 წელს რეალობად იქცევა, როცა ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს შეეძლებათ უვიზოდ მოგზაურობა და ყოველ ექვს თვეში 90 დღის განმავლობაში დარჩენა ევროპაში. ეს კი მოასწავებს ახალ ეტაპს ჩვენი ქვეყნის განვითარებაში. ქართველ ხალხს მიეცემა სრულიად ახალი შესაძლებლობები.

ამ შედეგით ასევე აღიარებულია მჭიდრო თანამშრომლობა ევროკავშირსა და საქართველოს შორის, განსაკუთრებით კი ამ პროცესში ჩართული საქართველოს სახელმწიფო უწყებების პროფესიონალიზმი, ჩვენი ევროპელი პარტნიორებისა და ევროკავშირის უწყვეტი მხარდაჭერა. ეს შედეგი დიდ გავლენას იქონიებს ევროკავშირსა და საქართველოს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის პოტენციალის სრულად გამოყენებაზე და წაახალისებს ქართულ ბიზნესს ევროპულ ბაზრებზე ახალი შესაძლებლობების მოძიების თვალსაზრისით.

**— რას გვეტყვით ბოლო წლებში საქართველოში მიმდინარე დემოკრატიული რეფორმების განხორციელების ტემპზე? რას აკეთებს თქვენი მთავრობა ოქტომბერში თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩასატარებლად?**

— საქართველო განუხრელად მიჰყვება რეფორმების გზას თავისუფლებისა და დემოკრატიის შემდგომი განმტკიცების უზრუნველსაყოფად. ჩემთვის საპატიოა იმ ძალისხმევის ხელმძღვანელობა, რომელიც კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ წამოიწყო 2012 წელს. ამ ძალისხმევის მიზანია ღია და ანგარიშვალდებული მთავრობის ჩამოყალიბება, რომელიც მის დამქირავებელს, ანუ ხალხს უსმენს. საქართველომ მიაღწია სტაბილურ წინსვლას დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერების თვალსაზრისით, ხოლო ჩვენმა წარმატებებმა კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებათა დაცვისა და მმართველობის სფეროებში საერთაშორისო აღიარება პოვა.

ჩვენმა მთავრობამ უზრუნველყო კონტროლისა და ბალანსის ქმედითი სისტემა. გარდა ამისა, ჩვენ განვახორციელეთ მართლმსაჯულებისა და სამართალდამცავი სტრუქტურების დეპოლიტიზაცია. რეგიონში არასტაბილური მდგომარეობის ფონზე ჩვენმა რეფორმებმა მოგვცა ეკონომიკური ზრდისა და პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნების შესაძლებლობა.

2013 წლის საპრეზიდენტო და 2014 წლის ადგილობრივი არჩევნები საერთაშორისო დამკვირვებლებმა აღიარეს, როგორც თავისუფალი და სამართლიანი. ამ მხრივ, წლევანდელი არჩევნები განსხვავებული არ იქნება. ქვეყნის დემოკრატიული ტრანსფორმაცია არის განგრძობითი პროცესი. ჩვენი მოლოდინით, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების ჩატარებაში დაფიქსირდება კიდევ უფრო შთამბეჭდავი პროგრესი.

**— „ქართული ოცნების“ მმართველი კოალიციის პოპულარობის დაცემაში, როგორც წესი, ადანაშაულებენ საქართველოს სუსტ ეკონომიკას. რა სახის გამოწვევებს აწყდებით საქართველოს ეკონომიკის გამოცოცხლების გზაზე და რა ნაბიჯების გადადგმას გეგმავთ ამ გამოწვევების გადასალახად?**

— მთავრობის მიზანია უკეთესი ცხოვრების შესახებ საქართველოს თითოეული მოქალაქის (როგორც ქალაქად, ისე სოფლად მცხოვრებთა) ოცნების რეალობად ქცევა. მართალია, ჩვენ განვახორციელეთ მნიშვნელოვანი ინვესტიციები ჯანდაცვის, განათლებისა და სოფლის მეურნეობის სექტორებში, რითაც გავაუმჯობესეთ ჩვენი მოსახლეობის ცხოვრების დონე, წინ კიდევ ბევრი შრომა გველის.

ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ ჩვენი ეკონომიკის ზრდაზე, რათა შევქმნათ მეტი სამუშაო ადგილი, ხოლო ჩვენი ქვეყნის ევროპული ინტეგრაცია კიდევ უფრო ინტენსიური გახდეს, რათა ჩვენმა მოქალაქეებმა მიიღონ რეალური სარგებელი.

2012 წელს ჩვენი კოალიციის ხელისუფლებაში მოსვლიდან მალევე ჩვენი ეკონომიკა შეარყია ძლიერმა საგარეო ეკონომიკურმა ძვრებმა და უკრაინისა და შუა აღმოსავლეთის რეგიონალური უსაფრთხოების კრიზისებმა, რამაც რეგიონს გამოაცალა საერთაშორისო ინვესტიციები და დააკნინა ზრდა. დღეს საქართველოს ეკონომიკა სწორი მიმართულებით ვითარდება და იზრდება. 2015 წელს საქართველომ მოიზიდა 1.7 მლრდ დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, რაც რეკორდული მაჩვენებელია.

დღეს საქართველოს აქვს შემდგომი განვითარების და ევროპასა და აზიას შორის მნიშვნელოვან კომერციულ მაკავშირებლად ჩამოყალიბების შესანიშნავი შესაძლებლობა. 2015 წლის შემოდგომაზე ჩვენ ვუმასპინძლეთ თბილისის აბრეშუმის გზის პირველ ფორუმს, რომელმაც პარტნიორობის შესაძლებლობების მოსასინჯად და აბრეშუმის გზის რეგიონის შესახებ შეხედულებების გასაზიარებლად თავი მოუყარა ბიზნესისა და სამთავრობო სექტორების 700 ლიდერს 34 ქვეყნიდან. ვთვლით, რომ მომავალში ეს იქნება ჩვენი ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ძალა.

ᲒᲐᲠᲓᲐ ᲐᲛᲘᲡᲐ, ᲕᲗᲕᲚᲘ, ᲠᲝᲛ ᲛᲔᲬᲐᲠᲛᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲣᲚᲘᲡᲙᲕᲔᲗᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲮᲐᲚᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲒᲖᲘᲗ ᲩᲕᲔᲜ ᲨᲔᲕᲫᲚᲔᲑᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲢᲠᲐᲜᲡᲤᲝᲠᲛᲘᲠᲔᲑᲐᲡ. ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲕᲐᲬᲧᲓᲔᲑᲘᲗ ᲡᲘᲢᲣᲐᲪᲘᲐᲡ, ᲠᲝᲪᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘ ᲡᲬᲠᲐᲤᲐᲓ ᲕᲘᲗᲐᲠᲓᲔᲑᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲓᲐᲛᲬᲧᲔᲑᲘ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘ ᲕᲔᲠ ᲘᲖᲘᲓᲐᲕᲡ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲘᲓᲔᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲚᲐᲓ. ᲐᲛ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲭᲠᲔᲚᲐᲓ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲬᲧᲔᲑᲘ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲡᲐᲬᲧᲝᲑᲐᲓ ᲩᲕᲔᲜ ᲬᲐᲛᲝᲕᲘᲬᲧᲔᲑᲗ ᲐᲮᲐᲚ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲔᲑᲡ. ᲩᲕᲔᲜ ᲓᲐᲕᲣᲗᲛᲝᲑᲗ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲐᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲜᲝᲕᲐᲪᲘᲣᲠᲘ ᲘᲓᲔᲔᲑᲘᲡ ᲛᲥᲝᲜᲔ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲮᲐᲚᲘᲡᲔᲑᲐᲡ. ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲔᲡ ᲒᲐᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲤᲔᲜᲐᲡ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲐᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲡ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘᲗ.

# ევროკავშირთან პოლიტიკურ-ეკონომიკური თანამშრომლობისთვის

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ევროპული ინტეგრაცია, ვიზალიბერალიზაციის პროცესი, ევროკავშირთან პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობა იყო პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილისა და საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის იანოშ ჰერმანის შეხვედრის მთავარი თემები.**

საუბრისას ხაზი გაესვა ერთობლივი დიპლომატიური ძალისხმევის როლს ვიზალიბერალიზაციის წარმატებით დასრულების პროცესში. გიორგი კვირიკაშვილმა აღნიშნა, რომ საქართველო განსაკუთრებულად აფასებს ევროკავშირის მხარდაჭერას. პრემიერმა ევროკავშირის ელჩს ასევე მიაწოდა ინფორმაცია უახლოესი მომავლის გეგმებისა და რეფორმების შესახებ.

„ვისაუბრეთ თანამშრომლობის, მომავალი ვიზიტების, ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ. ასევე, შევეხეთ ზოგიერთ პოლიტიკურ საკითხს და ვიზალიბერალიზაციის პროცესს, რომელიც, ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია, განსაკუთრებით ევროკომისიის გადაწყვეტილების შემდეგ. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, უშუალოდ მომესმინა პრემიერ-მინისტრისგან, როგორია მისი ხედვები და როგორ წარმოუდგენია მომავალი პერიოდის განვითარება“, — განაცხადა იანოშ ჰერმანმა.



ევროკავშირის ელჩმა შეხვედრისას გიორგი კვირიკაშვილს ასევე, პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე დანიშვნა მიულოცა და წარმატებული საქმიანობა უსურვა.

# ოპოზიციის კონფრონტაციული საუბარი ყველასთვის საზიანოა

**ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐ, კონფრონტაციული ფორმატიდან გამოვიდეთ და საუბრის ფორმატში გადავიდეთ, — მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა არასაპარლამენტო ოპოზიციას ინტერპარტიულ ჯგუფთან შეხვედრაზე.**

შეხვედრაზე, რომელიც მთავრობის კანცელარიაში გაიმართა, საარჩევნო კანონმდებლობასთან დაკავშირებული საკითხები განიხილეს.

„მზად ვართ იმისთვის, რომ პოლიტიკურ პროცესში მონაწილეობა გაცილებით მაღალი იყოს. გვინდა, ურთიერთობის მაღალი კულტურა დავამკვიდროთ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, წინასაარჩევნო პერიოდში ჩვენს პარტნიორებს მთელ მსოფლიოში ვაჩვენოთ, რომ ერთმანეთთან ცივილიზებულად საუბარი შეგვიძლია და არა მხოლოდ კონფრონტაციული საუბარი, არამედ ისიც შეგვიძლია, რომ ერთმანეთს მოვუსმინოთ და მართლაც სამაგალითო არჩევნები ჩავატაროთ. ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, გამომდინარე იქიდან, რომ ევროკავშირთან მნიშვნელოვან, ასოცირების პროცესში ვართ. ამას, უბრალოდ, იმისთვისაც აქვს მნიშვნელობა, რომ შევძლოთ, ერთმანეთის მოვისმინოთ — რაღაც შეიძლება გავითვალისწინოთ, რაღაც არ გავითვალისწინოთ, მაგრამ მთავარი ისაა, კონფრონტაციული ფორმატიდან გამოვიდეთ და ჯანსაღი საუბრის ფორმატში გადავიდეთ“, — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

# ოდესიდან მაოხრებელი გზირი პრობლემებს ქმნის და ეს პრობლემები „ოცნებამ“ ჩოხასავით მოირგო!



**მმართველმა გუნდმა მაჟორიტარული სისტემის გაუქმების და 2020 წლისთვის პროპორციული სისტემის შემოღების მიზნით, პარლამენტში საკონსტიტუციო ცვლილებების ინიცირება გასულ წელს მოახდინა, თუმცა, დიდი ალბათობით, ამ მოწვევის უწყება საკონსტიტუციო ცვლილებებს ვერ მიიღებს და მასზე მსჯელობის გაგრძელება მეცხრე მოწვევის პარლამენტს მოუწევს. ამის მიზეზი კი, ერთი მხრივ, პოლიტიკური გადაწყვეტილებაა და, მეორე მხრივ, საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვის ვადები, რომელიც კოალიციამ გაწელა.**

კერძოდ, კონსტიტუციის მიხედვით, საკონსტიტუციო ცვლილებების სამი მოსმენით განხილვა და მიღება ორ სესიაზე უნდა მოხდეს, მერვე მოწვევის პარლამენტს კი, საქმიანობისთვის დარჩენილი აქვს საგაზაფხულო სესია, რომელიც ივნისის ბოლო პარასკევს იხურება და რიგგარეშე სხდომები, რომელიც ივნისის ბოლო სხდომის შემდეგ შესაძლოა, მოიწვიონ.

უმრავლესობა საკონსტიტუციო ცვლილებების მიღებისთვის ვადებში პრობლემას ვერ ხედავს და კანონპროექტის დამტკიცებისთვის საჭირო 113 ხმაზე აპელირებს, „თავისუფალი დემოკრატები“ და „ნაციონალური მოძრაობა“ კი, ცვლილებების მხარდაჭერას მხოლოდ იმიტომ გეგმავენ, რომ მმართველ გუნდს სათქმელი არ ჰქონდეს — პროექტის წინააღმდეგ ოპოზიცია წავიდაო.

თუ რამდენად მოსალოდნელია, ამ მოწვევის პარლამენტში საკონსტიტუციო ცვლილებების თაროზე შემოდება, ამ საკითხით for.ge დაინტერესდა.

როგორც იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ **ვახტანგ ხმალაძემ** განაცხადა, კონსტიტუციაში ცვლილების შეტანისთვის აუცილებელია, რომ მას მხარი 113-მა დეპუტატმა დაუჭიროს, უმრავლესობაში კი, ამდენი დეპუტატი არ არის. კანონმდებლის თქმით, ოპოზიციის მხარდაჭერის გარეშე ასეთი ცვლილება მიღებული ვერ იქნება, ამიტომ, როგორი იქნება განხილვების საფუძველზე კენჭისყრის შედეგები, ეს დამოკიდებულია უმრავლესობაზეც და ოპოზიციაზეც.

უმრავლესობამ აღნიშნული ცვლილებების განხილვა საშემოდგომო სესიაზე — სექტემბერ-დეკემბრის შუალედში თუ რატომ არ უზრუნველყო, ამის თაობაზე ხმალაძე აცხადებს, რომ ვინაიდან, ოპოზიციის მხრიდან საკონსტიტუციო ცვლილებები იქნა მომზადებული, უმრავლესობის პროექტის ცალკე განხილვა არაგონივრულად იქნა მიჩნეული.

ვახტანგ ხმალაძის მსგავსად, უმრავლესობის ლიდერს **ზვიად კვაჭანტირაძეს** პასუხის გაცემა უჭირს, მერვე მოწვევის პარლამენტი მიღებს თუ არა საკონსტიტუციო ცვლილებებს.

კვაჭანტირაძე ერთმნიშვნელოვნად აცხადებს, რომ განხილვა ნებისმიერ შემთხვევაში მოხდება, მაგრამ პარლამენტი რა გადაწყვეტილებას მიიღებს, ეს უკვე მსჯელობის საგანია.

დეპუტატის ცნობით, ყველა საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაციაა, რომ საარჩევნო კანონმდებლობაში ძირეული ცვლილებები არჩევნებამდე ერთი წლით ადრე არ განხორციელდეს.

— მსგავსი რეკომენდაცია ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში შექმნილ კომიტეტსაც აქვს. ცვლილებები განიხილება და თუკი საჭირო გახდება, რიგგარეშე სესია მოწვეული იქნება. თუკი საკონსტიტუციო ცვლილებებამდე მივედით და ისეთ ფორმულირებაზე შევთანხმდებით, რაც ყველა ძალისთვის მისაღები იქნება, ალბათ, ხმის მიცემის პროცედურებში პრობლემები არ გვექნება. ცვლილებების მიღება დამოკიდებულია პოლიტიკურ პროცესზე“, — აცხადებს კვაჭანტირაძე, რომლისგან განსხვავებით, ვიცე-სპიკერი **ზვიად ძიძიგური** ირწმუნება, რომ უმრავლესობა ამ ცვლილებების განხილვას მეცხრე მოწვევის პარლამენტს არავითარ შემთხვევაში არ გადაულოცავს.

ძიძიგურის მოსაზრებით, ცვლილებების განხილვისთვის ორი სესიის მოწვევა შეიძლება, თუკი ერთი რიგგარეშე იქნება.

— ვადების თვალსაზრისით, პრობლემა არ იქნება. პოლიტიკური თემაა, საკონსტიტუციო ცვლილებებს კენჭისყრაზე როდის დავაყენებთ და ჩვენი პოლიტიკური ტაქტიკა შემდეგ გახდება ცნობილი. პარლამენტის წევრებს შორის კონსულტაციები იქნება, — დასძენს ძიძიგური, რომლის მსგავსად, დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე **ზურაბ ტყემალაძეც** ირწმუნება, რომ შესაძლოა, გადაწყვეტილება ამ მოწვევის პარლამენტმა მიიღოს, მაგრამ პოლიტიკური მოვლენები როგორ განვითარდება, ამას დარჩენილი დრო წარმოაჩენს.

გარემოს დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე **გია ჟორჟოლიანი** კი აღნიშნავს, რომ საკონსტიტუციო ცვლილებები 80 დეპუტატის მიერ ხელმოწერილია და ეს დეპუტატები დღესაც ამ პოზიციას ინარჩუნებენ, თუმცა, საზოგადოება მოვლენების განვითარებას მაინც უნდა დაელოდოს.

უმრავლესობისგან განსხვავებით, ოპოზიციაში კონკრეტული პასუხები აქვთ — თუ რატომ არ სურს უმრავლესობას საკონსტიტუციო ცვლილებების მიღება და რატომ გაიწელა განხილვის ვადები.

„თავისუფალი დემოკრატების“ წევრი გიორგი ცაგარეიშვილი აცხადებს, რომ ხელისუფლების იაფფასიანი ტრიუკი და სპეკულაცია იყო, როცა მან განაცხადა, თითქოს, 2020 წელს პროპორციული არჩევნები ჩატარდება.

ცაგარეიშვილის შეფასებით, უმრავლესობამ საკონსტიტუციო ცვლილებები იმ პროექტის საპირწონედ შეიმუშავა, რომელიც ოპოზიციამ მოამზადა.

კანონმდებელი ვარაუდობს, რომ პროპორციულ სისტემასთან დაკავშირებით მომზადებული საკონსტიტუციო ცვლილებებს ისეთივე ბედი ეწვევა, როგორიც იმ საკონსტიტუციო კომისიას ეწვია, რომელსაც სათავეში პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი უდგას.

დეპუტატის პროგნოზით, ამ მოწვევის პარლამენტში ვერავითარი ცვლილებები ვერ გავა და ეს თემა დახურულია. შესაბამისად, ამ საკითხზე ტვინის ჭყლეტა მეცხრე მოწვევის პარლამენტს მოუწევს.

— თავის დროზე, სააკაშვილმა კონსტიტუციაში ძალიან მზაკვრულად რამდენიმე ისეთი ცვლილება შეიტანა, რომელიც ყველანაირ საღ აზრს ბლოკავს და პოლიტიკური ძალებისთვის ერთგვარ საკონსტიტუციო ჭაობად გადაიქცა. ეს იმისთვის მზადდებოდა, რომ კონსტიტუცია ერთი ადამიანის ნებაზე მორგებული ყო. ამ მოწვევის პარლამენტში გამოსავალი არ არსებობს მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა, ცვლილებებს მხარი ჩვენც და ნაციონალებმაც დაუჭირონ. ოდესიდან მაოხრებელი გზირი მიხეილ სააკაშვილი ქვეყანას პრობლემებს უქმნის და ეს პრობლემები საკუთარ თავზე ჩოხასავით „ქართულმა ოცნებამ“ მოირგო. სააკაშვილის ბეჭებიდან ჩამოღებული ჩოხა ძიძიგურმა და სხვებმა მოირგეს, რომლებიც წითელ ხალიჩებზე გამოწკეპილები დადიან და თავს ამაყად გრძნობენ. მათი მიზანია, ადგილი საშვილიშვილოდ დაიმკვიდრონ და წითელ ხალიჩაზე იარონ, მაგრამ ქვეყანას რა დარჩება? — ინტერესდება ცაგარეშვილი.

„თავისუფალი დემოკრატების“ მსგავსად, საკონსტიტუციო ცვლილებების მხარდაჭერაზე არ უმსჯელიათ ნაციონალებს, მაგრამ **ირაკლი ალასანიას** საპარლამენტო გუნდის მსგავსად, უმცირესობა ცვლილებების მხარდაჭერას არ გამორიცხავს.

როგორც ნაციონალმა მიხეილ მაჭავარიანმა თქვა, მისი იდეაა, რომ ამ საკითხზე თავისუფალი კენჭისყრა ჩატარდეს და უმცირესობამ პროექტს მხარი დაუჭიროს, რათა „ქართულ ოცნებას“ საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე თავის მართლების რაიმე საბაბი არ ჰქონდეს.

მაჭავარიანის თქმით, ძალიან თვალნათელია, რომ „ოცნებას“ არჩევნების წაგების ეშინია და ეს საარჩევნო სისტემა ამიტომ დატოვა.

— ძალიან კარგად მახოვს, 2008 წელს ოპოზიცია პროპორციულ სისტემაზე გადასვლას როგორ ითხოვდა. აქაც იტყუებიან. საარჩევნო ოლქები ვითომდა რაღაც რეფორმისთვის გააკეთეს. მათ 22 ხმას მივცემთ, რათა აქაც არ მოიტყუონ. „ქურდს რა უნდა და ბნელი ღამეო“. ყველამ უნდა იცოდეს, რომ მაჟორიტარულ სისტემაში მინიმალური ხმები იკარგება, პროპორციულ სისტემაში კი ყველა ხმა დათვლილია და დაკარგული არ არის, — აცხადებს მაჭავარიანი.

**ოდესიდან მაოხრებელი გზირი მიხეილ სააკაშვილი ქვეყანას პრობლემებს უქმნის და ეს პრობლემები საკუთარ თავზე ჩოხასავით „ქართულმა ოცნებამ“ მოირგო. სააკაშვილის ბეჭებიდან ჩამოღებული ჩოხა ძიძიგურმა და სხვებმა მოირგეს, რომლებიც წითელ ხალიჩებზე გამოწკეპილები დადიან და თავს ამაყად გრძნობენ. მათი მიზანია, ადგილი საშვილიშვილოდ დაიმკვიდრონ და წითელ ხალიჩაზე იარონ, მაგრამ ქვეყანას რა დარჩება?**

**თეონა მანაგაძე**

**ინფორმაცია**

## „ოცნება“ არჩევნებში კოალიციასთან ერთად წარსდგება



**„ქართული ოცნება“ საპარლამენტო არჩევნებში დამოუკიდებლად არ მიიღებს მონაწილეობას, — ამის შესახებ განცხადება საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა გია ვოლსკიმ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა და დასძინა, რომ „დღეისთვის ეს ასეა“ და არც იმას გამორიცხავს, რომ არჩევნებამდე სხვა გადაწყვეტილება იქნას მიღებული.**

**„ეს იმ ტიპის საკითხია, რაზეც გადაწყვეტილების მიღება არა პერსონალური მოსაზრებების, არამედ ვითარების ღრმად შესწავლის საფუძველზე უნდა მოხდეს.**

**არის თუა არა რაიმე გამორიცხული ამ პოლიტიკურ ცხოვრებაში, როგორც პრაქტიკამ დამანახა, გამორიცხული არაფერია. გადაწყვეტილების მიმღები ხალხი, პოზიციებზე მდგომი კომიტეტისა თუ ფრაქციის ხელმძღვანელები ამ თემაზე შეიძლება მსჯელობდეს, საკუთარი პოზიციაც ჰქონდეს, მაგრამ საკითხის გადაწყვეტილების დონემდე მიყვანა აბსოლუტურად სხვა მოთხოვნებს და სხვა წინაპირობებს უნდა ექვემდებარებოდეს. ასეთი წინაპირობები დღეისათვის არ არსებობს,“, — განაცხადა გია ვოლსკიმ. რაც შეეხება მაჟორიტარების ჩანაცვლებას, გია ვოლსკი აცხადებს, რომ ამ ეტაპზე „არავინ იცის, ვის უარი ეთქვა მაჟორიტარობაზე, ვინ ვის ჩაანაცვლებს და ვინ იქნება მაჟორიტარობის კანდიდატი“. ამის შესახებ გია ვოლსკიმ ჟურნალისტებთან მას შემდეგ ისაუბრა, რაც „ჯი-ეიჩ-ენ“-მა წყაროზე დაყრდნობით გაავრცელა ინფორმაცია, რომ მომავალ არჩევნებში ტყიბულში ელისო ჩაფიძეს ოთარ აბესაძე ჩაანაცვლებს.**

**„ოთარ აბესაძისა და ელისო ჩაფიძის კანდიდატურების ასეთ კონტექსტში გაანალიზება უაზრობაა. ამ თემაზე საუბარი არ ყოფილა. ასე რომ, ვფიქრობ, ყველაფერი მიმართულია იქითკენ, რომ წინასაარჩევნოდ იყოს მეტი სკანდალი და დუღილის მეტი ტემპერატურა. ყველა საკითხი კომპლექსურად უნდა გადაწყდეს. მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი კონკრეტულ პირებზე საუბარი,“ — განაცხადა გია ვოლსკიმ.**

**აღსანიშნავია, რომ საარჩევნო რეფორმის განხორციელების შემთხვევაში, რომელიც ოლქების ახლებურ გადანაწილებას ითვალისწინებს, ტყიბულისა და თერჯოლის ოლქები ერთიანდება და ერთი მაჟორიტარი ეყოლება.**

ჯი-ეიჩ-ენი, მედიანიუსი

# აკი, თოფი – მეთოფესო?!



## როცა წინაპართა სიბრძნესა და გამოცდილებას არ გავითვალისწინებთ, შედეგი მუდამ სავალალო იქნება!

**საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ, რაც მისასალმებელია, მაგრამ საკმარისია, იგი გულდასმით წავიკითხოთ, რომ დავრწმუნდეთ, რაოდენ არაკომპეტენტურობასთან გვაქვს საქმე. ყოველივე ეს ჩანს არა მარტო კანონის მიზნის არასწორ განსაზღვრაში, კონსტიტუციურ მოთხოვნასთან მის არასრულყოფილ შესაბამისობაში და ა. შ. არამედ ელემენტარული ცნებების უცოდინრობაში.**

მეცნიერული თვალსაზრისით მაღალმთიანი რეგიონისა და მაღალმთიანი დასახლებების ცნებები განსხვავებულია. კანონში კი პირობითობით იდენტურად მოიხსენიება (იხ. მუხ. 1 პუნქტი ბ) „მაღალმთიანი რეგიონი – მაღალმთიანი დასახლება“) რისი აუცილებლობა არ არსებობდა.

საქმე ის გახლავთ, რომ მეცნიერული თუ არამეცნიერული თვალსაზრისით ჰიპსომეტრიული სიმაღლის მიხედვით **„მაღალმთიანი რეგიონი არის ადგილი, რაიონი, მხარე, ქვეყნის ტერიტორიის ის ნაწილი, რომლის უმეტესი ტერიტორია მდებარეობს ზღვის დონიდან 1 500 მეტრსა და მის ზევით“**. ეს გარკვეული აზრით გულისხმობს, რომ მაღალმთიანი რეგიონი მოიცავს 1 500 მეტრზე დაბლა მდებარე ტერიტორიასაც. მითუმეტეს საქართველოს შემთხვევაში.

– მაღალმთიანი დასახლება კი არის 1500 მეტრ ან მის ზევით მდებარე სოფელი, დაბა, ქალაქი. საქართველოს კონსტიტუცია მაღალმთიან რეგიონს გულისხმობს, რომელიც მოიცავს როგორც მაღალმთიან, ისე არამაღალმთიან დასახლებასაც. ამდენად, კანონში დაფიქსირებული პირობითობა არაკომპეტენტურობის მაჩვენებელია. უფრო მეტიც, საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში რიგი დასახლებები არ მიეკუთვნება მაღალ მთას და არც მაღალმთიან რეგიონს. აქ აჯობებდა გამოგვეყენებინა **„მაღალმთიან რეგიონებთან გათანაბრებული დეპრესიული რეგიონებისა და დასახლებების“** ცნებები, და არა მაღალმთიანი დასახლების სტატუსის მინიჭება დაგვეკანონებინა.

უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ მაღალმთიანი რეგიონი შეიძლება ისე იყოს განვითარებული, ბარის რეგიონს არ ჩამოუვარდებოდეს. მაშინ კანონის მოქმედება ასეთი რეგიონის მიმართულებით უნდა დენონსირდებოდეს, აქედან გამომდინარე კარგი იქნება, კანონს **„მაღალმთიანი დეპრესიული რეგიონების განვითარების კანონი“** ეწოდოს.

გაუგებრობას იწვევს კანონის მეორე მუხლის მეორე პუნქტში ფშავის და ხევსურეთის „ფშავ-ხევსურეთი“-ის ფორმით წარმოდგენა. თუ კანონში ზემო და ქვემო სვანეთი ცალ-ცალკე მოიხსენიება, მაშინ ფშავი და ხევსურეთი რომ დამოუკიდებელი ერთეულებია, კანონმდებელმა რატომ არ უნდა იცოდეს? კანონის ამ ლაფსუსს ზოგიერთი „კანონდამცველი“ უარყოფითად გამოიყენებს რესურსების განაწილების თუ სხვა შემთხვევაში.

აღარ გავაგრძელებთ მსჯელობას კანონში გამოყენებული ცნებებისა და პირობითობების უზუსტობისა და უსუსურობის შესახებ. პირდაპირ დავასკვნით, რომ აღნიშნული კანონი სრულყოფილად არ ასახავს საკონსტიტუციო მოთხოვნებს. ვინაიდან საქართველოს კონსტიტუციის 31-ეს მუხლის თანახმად **„სახელმწიფო ზრუნავს ქვეყნის მთელი ტერიტორიის თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის, მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის უზრუნველსაყოფად კანონი ადგენს შეღავათებს“**. ე. ი. კონსტიტუცია მოითხოვს საქართველოს მთასა და ბარში თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური პირობების შექმნას, სოციალ-ეკონომიკური პროგრესის უზრუნველყოფის გზით, რომელიც უნდა მოხდეს არა მარტო კანონში მოცემული სოციალური და საგადასახადო შეღავათებით, არამედ მთის რესურსების რაციონალური გამოყენების ღონისძიებათა საფუძველზე, ეს ავტომატურად გამოიწვევს მოსახლეობის დამაგრებასაც, რაც კანონში არ არის გათვალისწინებული. ამდენად, კანონის ძირითადი მიზანი კი არ უნდა იყოს მოსახლეობის დამაგრება, რეზერვაცია, არამედ ბარისა და მთის რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური პირობების გათანაბრება. ამის მიღწევა მხოლოდ კანონში მოცემული შეღავათებით შეუძლებელია. ისმება კითხვა, კანონში რატომ არ აღინიშნა ის შეღავათებიც, რაც მოცემულია შრომის საერთაშორისო კონფედერაციის 169 კონვენციაში მიწის ფლობის, ბუნებრივი რესურსების გამოყენების და სხვათა შესახებ?

არასწორად მიგვაჩნია კანონის მუხ. 3 პუნქტ 1-ის მიხედვით მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის საკითხს წყვეტდეს გამგებელი ან მერი. დღევანდელი დემოკრატიის პირობებში ასეთი რამ ფეოდალური მმართველობის გადმონაშთად მოიაზრება. ჯერ ერთი, ამას კანონმდებლობა აწესრიგებს, თუნდაც კანონის ანალოგიის სახით. მეორეც, იურიდიულად უფრო დასაბუთებული იქნებოდა, ამას წყვეტდეს ადგილობრივი საკრებულო.

კანონის მუხ. 3 ნაწ. 5-ის მიხედვით **„ფიზიკურ პირს მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრების სტატუსი ენიჭება“** თუ იგი პუნქტ. გ)-ს მიხედვით **„ყოველი კალენდარული წლის განმავლობაში ჯამში 9 თვის ან 9 თვეზე მეტი ვადით ფაქტობრივად ცხოვრობს მაღალმთიან დასახლებაში“**.

მუხ. 5 ნაწ. 8-ის მიხედვით „მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებ პირს მაღალმთიან დასახლებაში“ მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი უჩერდება, თუ მან პუნქტ ბ)-ს მიხედვით **„მაღალმთიანი დასახლება დატოვა განათლების მიღების მიზნით და აღარ აკმაყოფილებს ამ მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ პუნქტით დადგენილ მოთხოვნას“**. ე. ი. გამოდის, რომ სწავლების გამო მუდმივი ცხოვრების სტატუსი დროებით თუ მუდმივად“ ერთმევა?

სწავლის მიზნით მაღალმთიან რეგიონში მუდმივი ცხოვრების უფლების სტატუსის შეჩერება, ანუ მუდმივი ცხოვრების სტატუსის დროებით ჩამორთმევა, კანონმდებლობაზეც რომ არაფერი ვთქვათ, მორალურადაც მიუღებელია. ამან შეიძლება გამოიწვიოს მოსახლეობის ემიგრაციის სტიმულირება. პირიქით სწავლის მიზნით, ვინც რეგიონი დროებით დატოვა, მას დამატებით სტიმულები უნდა შევუქმნათ უკან დაბრუნებისთვის. ესეც რომ არა, ისმება კითხვა: **ამ თვალსაზრისით კანონი რატომ არ ზღუდავს მომთაბარე მწყემსებს, სამხედრო მოსამსახურეებს, ხანგრძლივად მივლინებაში მყოფებს და სხვა პირებს, რომელთაც ოთხ და მეტ თვეს უხდებათ სხვა ტერიტორიებზე ყოფნა?** ასეთი დისკრიმინაციის აუცილებლობა რითაა გამოწვეული? ვფიქრობთ, აქაც არაკომპეტენტურობასთან გვაქვს საქმე. ჩვენი თუ არა წინაპართა ნათქვამი ხომ მაინც უნდა დავიჯეროთ, „თოფი – მეთოფესო“.

ამგვარი „მარგალიტი“ კანონში უამრავია. მათზე რომ არაფერი ვთქვათ, წარმოდგენილების ყოველმხრივი და დეტალური უზუსტობების განხილვაც აღნიშნულის მიერ მიზანშეწონილად აღარ უნდა ჩაითვალოს. მოცემული შენიშვნებიც კანონის ერთი თვალის გადავლებით დაიწერა. საბოლოოდ გვინდა აღვნიშნოთ, ის სოციალური და საგადასახადო შეღავათები, რაც მოცემულ კანონშია დაფიქსირებული, შეიძლებოდა ცალკეულ კანონებში მუხლების სახით გამოგვეყო. კერძოდ, შრომის კოდექსში, საგადასახადო კოდექსში, მეწარმეთა შესახებ კანონში და ა.შ. მაშინ აღარ დაგვჭირდებოდა ზედმეტი რგოლების შექმნა – მთის განვითარების ეროვნული საბჭოსა და მაღალმთიანი დასახლების განვითარების ფონდის, რომელთა საქმიანობა ზედმეტ ხარჯებს გამოიწვევს. მაგრამ, ვფიქრობთ, აქაც რაღაც ინტერესი დევს. საერთოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ კანონის შექმნაში მონაწილეობა უნდა მიიღონ კომპეტენტურმა პიროვნებებმა და არა შარლატანებმა ან კომპილატორმა კანონმცოდნეებმა. თოფი – მეთოფეს! ამ ცხოვრებისეული პრინციპის დაცვა აუცილებელია, თუ უფსკრულში გადაჩეხვა არ გვინდა.

ხაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებასაც, რომ საქართველოში კომპეტენტურ პიროვნებებს უგულებელყოფენ. **ჩვენს შემთხვევაში გაუგებარია, მთის კანონმდებლობის სრულყოფასა და მთის განვითარების ეროვნულ საბჭოში მუშაობის შესაძლებლობა რატომ არ ეძლევა ამ კანონმდებლობის ფუძემდებელს, ყოფილ პარლამენტარს, საკონსტიტუციო კომისიის ყოფილ წევრს, მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ გიორგი ჭინჭარაულს, რომელსაც სამეცნიერო ხარისხი დაცული აქვს საქართველოს მაღალმთიანი რაიონების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე?** ამ საკითხთან დაკავშირებით გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო ნაშრომი. 1988 წლიდან დღემდე არის მთიელთა საზოგადოების თავმჯდომარე, რომელ საზოგადოებასთანაც ფუნქციონირებს მთის რეგიონების მკვლევართა სამეცნიერო საბჭო. ამ საბჭოს მუშაობის ეფექტიანობა გამოიხატება მთიანი რეგიონების პრობლემებზე მრავალჯერ ჩატარებულ რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციებში და ა.შ.

აი, ასეთ ვითარებაში მთის პრობლემებზე მომუშავე მეცნიერთა იგნორირება, მარტო არაკომპეტენტურობა კი არა, ამორალურიცაა.

პარლამენტის ყოფილი წევრები
**თეიმურაზ მგელიაშვილი, გიორგი წითლანაძე, არჩილ იოსელიანი, როინ ლიპარტელიანი.**

მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები
**თამარ ღვინაძე, გიორგი ნანუაშვილი, გივი ჯავახიშვილი, კოზა სოხაძე, გიგი ხორნაული.**

საქართველოს მთიანეთის ნებაყოფლობითი საქველმოქმედო ასოციაციის სამეცნიერო საბჭო.

## ამერ-იმერი

### აბასთუმანში ოთხვარსკვლავიანი სასტუმრო აშენდება!

**საპარტნიორო** ფონდი კომპანია „რედიქს ჯგუფთან“ ერთად აბასთუმანში პირველი მაღალი კლასის სასტუმროს პროექტზე მუშაობს. პროექტის მიხედვით 4-ვარსკვლავიანი სასტუმრო დაბა აბასთუმანში, აღობილის დასახლებაში აშენდება. 160-ნომრიანი სასტუმრო მოიცავს კაფე-რესტორანს, საკონფერენციო დარბაზს, შეხვედრების ოთახს, აუზს, ბარს, ფიტნეს კლუბსა და სპას.

როგორც ფონდის საინვესტიციო დეპარტამენტის დირექტორი გიორგი ჩერქეზიშვილი აღნიშნავს, აბასთუმანში, რომელიც ერთ-ერთი სტრატეგიული საკურორტო დასახლებაა, დღესდღეისობით მხოლოდ საოჯახო ტიპის რამდენიმე სასტუმრო ფუნქციონირებს.



შესაბამისად აბასთუმანში მაღალი კლასის სასტუმროზე მოთხოვნა არსებობს და ფონდის სტრატეგიის ნაწილია რეგიონებში ინფრასტრუქტურის განვითარება და კერძო ბიზნესის ხელშეწყობა. აღნიშნული პროექტი გაზრდის რეგიონის ცნობადობას და ტურისტების რაოდენობას. მშენებლობის დაწყების სავარაუდო თარიღი 2016 წლის გაზაფხულია, სასტუმროს მშენებლობა 2018 წელს დასრულდება. პროექტის საინვესტიციო მოცულობა 26 მლნ აშშ დოლარია.

### ახალი ინფრასტრუქტურული პროექტი თბილისის სკოლებისთვის

**ევროპის** საბჭოს განვითარების ბანკის ფინანსური დახმარებით, თბილისის საჯარო სკოლების რეკონსტრუქცია-გამაგრება და ამ სეგმენტის ინფრასტრუქტურაში ენერგოეფექტურობის გაზრდა იგეგმება. პროექტთან დაკავშირებული ფინანსური და ტექნიკური დეტალები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ და ფინანსთა მინისტრის მოადგილემ დავით ლეჟავამ გუშინ, ევროპის საბჭოს განვითარების ბანკის მრჩეველებთან ერთად განიხილეს.

პროექტი, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეიმუშავა, მიზნად ისახავს გააუმჯობესოს სასწავლო გარემო და სკოლის მოსწავლეთა უსაფრთხოება, ასევე, მიაღწიოს ენერგოეფექტურობის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას, ხარჯების შემცირების მიზნით. პროექტის ღირებულება დაახლოებით 22 მილიონ ევროს შეადგენს. საიდანაც: 14 მილიონ ევროს შეღავათიანი სესხის სახით, ევროპის საბჭოს განვითარების ბანკი გამოყოფს, აღმოსავლეთ ევროპის ენერგოეფექტურობის და გარემოს დაცვითი თანამშრომლობის ფონდიდან გრანტის სახით გამოიყო 6 მილიონი ევრო. პროექტით ასევე გათვალისწინებულია ქართული მხარის თანამონაწილეობა არაფულადი ფორმით (2 მილიონი ევრო).

### ვეტერანების სამკურნალო კლინიკა თბილისის ზღვაზე აშენდება

**თბილისის** ზღვის ტერიტორიაზე ვ. სანიკიძის სახელობის ვეტერანთა სამკურნალო-სარეაბილიტაციო ცენტრი აშენდება, ცენტრის აშენებამდე კი ომის ვეტერანებს სამედიცინო მომსახურებას კლინიკა „ლანცეტი“ გაუწევს. ამის შესახებ მედიანიუსს ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურში განუცხადეს.

ჯი-ეიჩ-ენი, მედიანიუსი

◉ შეკითხვა საქართველოს ხელისუფლებას

# ბატონო პრემიერო, გამოიყენეთ თქვენი უფლება ქონების პირდაპირი მიყიდვის შესახებ!



**გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ მკითხველს სთავაზობს ახალ რუბრიკას: „შეკითხვები საქართველოს ხელისუფლებას“, რომლის მიზანია, მთავრობას უშუალოდ მიეწოდოს ის პრობლემები, რომლებიც აწუხებს ქვეყნის მოსახლეობას, საზოგადოების დიდ ნაწილს და დღემდე პასუხგაუცემელია.**

**დღეს რედაქციაში გვეწვია ცნობილი მეცნიერი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, აკადემიკოსი ნაპოლეონ ქარქაშაძე.**

— ბატონო ნაპოლეონ — თქვენ ბრძანდებით სააკაშვილის რეჟიმის ერთ-ერთი პირველი მსხვერპლი. 2004 წელს დაგაპატიმრეს „სამსახურებრივი უფლება-მოვალეობის ბოროტად გამოყენების“ ბრალდებით, 108 დღე გამყოფეს საპყრობილეში, თქვენ და თქვენს ქალიშვილს სასამართლოს წესით ჩამოგართვეს ქონება და ბოლოს, როდესაც მიხვდნენ, რომ დანაშაულს ვერ გიმტკიცებდნენ ე. წ. იძულებითი საპროცესო შეთანხმების გაფორმებისა და ფულის გადახდის შემდეგ, გამოგიშვეს.

მაშინ თქვენ საქმეს აშუქებდნენ, როგორც ტელეარხები, ისე გაზეთები და საზოგადოებას მიეწოდა სრულყოფილი ინფორმაცია, ხალხმა შეიტყო, რომ თქვენ სააკაშვილის პირადი პატიმარი იყავით, რისი მიზეზიც მისი გარდაცვლილი ბაბუის სამსახურიდან გაშვება გახლდათ, რომელიც აგრარულ უნივერსიტეტში თქვენი რექტორობის დროს დაუსწრებელი სწავლების პრორექტორად მუშაობდა.

თქვენს დაპატიმრებას მაშინ მსოფლიო სამეცნიერო საზოგადეობაც გამოეხმაურა, ალბათ მისი ზეწოლის შედეგიც იყო, რომ საპყრობილედან მალე გაგანთავისუფლეს.

საზოგადოებამ ისიც იცის, რომ ახალი ხელისუფლების სათავეში მოსვლისთანავე, თქვენ ადვოკატის მეშვეობით 2012 წლის ნოემბრის დასაწყისში მიმართეთ მთავარ პროკურატურას. მიუხედავად კიდევ მრავალი განცხადებისა, რომლებიც შეტანილი გაქვთ არა მარტო მთავარ პროკურატურაში, არამედ სხვა უწყებებშიც, შედეგი არ მოჰყოლია.

გაზეთი საშუალებას გაძლევთ, დაუსვათ კითხვები საქართველოს ხელისუფლების ნებისმიერ წარმომადგენელს.

— მადლობა მინდა გითხრათ ასეთი შესაძლებლობისთვის. საქართველოში მართლაც ბევრი სამართლებრივი ხასიათის პრობლემა დგას, რომელთა გადაწყვეტაც დღევანდელმა ხელისუფლებამ ვერ მოახერხა. ეს პრობლემა არა მარტო სამართლებრივი, არამედ ფსიქოლოგიური და ეკონომიკური ხასიათისაა. სამართლებრივი იმიტომ, რომ ჩადენილი ბოროტებისთვის იმდროინდელმა ჩინოვნიკებმა პასუხი უნდა აგონ, ფსიქოლოგიური იმიტომაა, რომ უსამართლობამ გააბოროტა ადამიანები. უარყოფითი მუხტი, რომელიც საზოგადოებაშია, უნდა განეიტრალდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მძიმე პოლიტიკური და სხვა არასასურველი შედეგის გამომწვევი გახდება. რაც შეეხება ეკონომიკურ საკითხს — ქონებაწართმეულთა რაოდენობა რამდენიმე ათეული ათასია. წაართვეს, რაც მთელი ცხოვრების მანძილზე შექმნეს არა მარტო მათ, არამედ მათმა წინაპრებმაც. დღეს ასეთი ადამიანების დიდი ნაწილი სიღარიბის ზღვარზეა. ისინი კანონიერად ითხოვენ იმ ქონების დაბრუნებას, რომელიც სასამართლოს წესით ჩამოართვეს და დღეს ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზეა უმოძრაოდ. ამ ქონების მეპატრონეებისთვის დაბრუნება არა მარტო გააუმჯობესებს ათეული ათასობით მოქალაქის ეკონომიკურ მდგომარეობას, არამედ საკმაოდ დიდი ინექციაც იქნება ქვეყნის ეკონომიკისთვის.

**მე მინდა მივმართო ბატონ პრემიერ-მინისტრს. მთავრობის მიერ მთავარ პროკურატურასთან შექმნილი ახალი დეპარტამენტი არ იხილავს იმ საკითხებს, რომლებიც სასამართლოს წესით ჩამორთმეული ქონების დაბრუნებას ეხება. გვიპასუხებენ, რომ ასეთი ქონების დაბრუნება უნდა მოხდეს ისევ სასამართლოს წესით ე. წ. უზენაეს სასამართლოსთან ახლად შექმნილი პალატის მიერ. სამწუხაროდ, ასეთი პალატა დღემდე ვერ შეიქმნა და ალბათ ახალი პარლამენტის არჩევამდე არც შეიქმნება.**

**რატომ არ შეიძლება თქვენ, როგორც პრემიერ-მინისტრმა, გამოიყენოთ თქვენი უფლებები ქონების პირდაპირი მიყიდვის შესახებ და მთავრობის სხდომაზე ამ კუთხით განიხილოთ იმ დაზარალებულების საკითხი, რომელთა ჩამორთმეული ქონება ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზეა, ქონებაში მოდავე არავინ ყავს და თავად ქონებაც მხოლოდ მათთვის არის ღირებული, მათ შეუძლიათ ამ ქონების ეფექტიანად გამოყენება?**

**ამისთვის საჭიროა მთავრობის განკარგულება, რათა იმ დაზარალებულებს, რომელთა ქონების დაბრუნებაც უზენაეს სასამართლოში მომავალში შესაქმნელ პალატაზეა დამოკიდებული, ეს ქონება პირდაპირი მიყიდვის წესით დაუბრუნონ სიმბოლურ ფასად.**

**ასეთი გადაწყვეტილებით ნაწილობრივ მოგვარდება წლობით გაჭიანურებული პრობლემა. საზოგადოების გარკვეული ნაწილის ეკონომიკური მდგომარეობაც გამოსწორდება, ქვეყნის ეკონომიკაც მიიღებს სოლიდურ ინექციას და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, განიმუხტება უარყოფითი მუხტი, რომელიც საზოგადოებაშია.**

◉ რეზოლუციის პროექტი

# როცა შენიშვნები წინსვლას ვერ აფერხებენ

## „2016 წელს ბევრი თაობის ოცნება ახდება - ქართველებს შეეძლებათ ევროპის ქვეყნებში მოგზაურობა“

**ევროპარლამენტმა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების იმპლემენტაციის საკითხზე რეზოლუციის პროექტი გამოაქვეყნა. ევროპარლამენტი მიესალმება ევროკომისიის დადებით შეფასებებს საქართველო-ევროკავშირს შორის უვიზო რეჟიმის დაწესების საკითხზე და ელოდება, რომ საბჭო და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები საქართველოსა და უკრაინასთან უვიზო რეჟიმის შემოღებაზე გადაწყვეტილებას არ შეაყოვნებენ.**

ევროპარლამენტი ასევე მოუწოდებს შესაბამის ევროპულ სტრუქტურებს, ასოცირების შეთანხმების ქვეყნებთან ერთად შეიმუშაონ ნდობის განმტკიცებისკენ მიმართული ზომები, რაც შეამსუბუქებდა კონფლიქტით დაზარალებული და გამყოფ ხაზებთან მცხოვრები ადამიანების მდგომარეობას და ხაზს უსვამს საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მუშაობის მნიშვნელობას.

გარდა ამისა, ევროპარლამენტი ასევე აღნიშნავს, რომ საქართველოში, უკრაინასა და მოლდოვაში სასამართლო სისტემა სრულიად დამოუკიდებელი უნდა იყოს და ხაზს უსვამს მედიიის რეალური თავისუფლების აუცილებლობას, ასევე შეშფოთებას გამოთქვამს ყველა იმ შემთხვევის გამო, სადაც სიტყვისა და მედიის თავისუფლება საფრთხის ქვეშ დგას.

რაც შეეხება რეზოლუციის პროექტის იმ ნაწილს, რომელიც უშუალოდ საქართველოს ეხება, ნათქვამია, რომ ევროპარლამენტი აფიქსირებს 2015 წლის დეკემბერში საქართველოს პრემიერ-მინისტრის შეცვლას და მიესალმება განცხადებებს საპარლამენტო ოპოზიციასთან თანამშრომლობის შესახებ, აქვე აღნიშნავს, რომ ბიზნესი და პოლიტიკა არ უნდა იყოს ურთიერთდაკავშირებული დემოკრატიულ ქვეყანაში.

ევროპარლამენტი ასევე მოუწოდებს საქართველოს, უზრუნველყოს მოსამართლეების შერჩევა გამჭვირვალედ, მათი დამსახურებიდან გამომდინარე და შევალოს მოსამართლეებისთვის 3-წლიანი გამოსაცდელი ვადის სისტემა. ევროპარლამენტი კვლავ შეშფოთებულია პროკურატურის ანგარიშვალდებულების ნაკლებობის და იმ ბუნდოვანი კრიტერიუმების გამო, რომლის მიხედვით ნიშნავენ პროკურორებსა და გამომძიებლებს.

ევროპარლამენტში პლენარულ სესიაზე სიტყვით გამოსვლისას ევროკომისარმა იოჰანეს ჰანმა განაცხადა, რომ საქართველომ ასოცირების შეთანხმების განხორციელების მიზნით შთამბეჭდავი ნაბიჯები გადადგა და აქვე ისაუბრა საქართველოს, უკრაიანისა და მოლდოვას პროგრესზე.

**„საქართველომ ასოცირების შეთანხმების იმპლემენტაციისთვის შთამბეჭდავი ძალისხმევა გასწია, შედეგები უკვე შესამჩნევია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვანი ზრდის კუთხით. სხვა ინდიკატორებიც იმედისმომცემ ნიშნებს გვაძლევს. ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმამ დაამტკიცა, რომ იგი არის ეფექტური ინსტრუმენტი რეფორმების წახალისებაში. თუმცა, საქართველო გასცდა სამოქმედო გეგმის ნიშნულებს და გადადგა უფრო მეტი ნაბიჯები სასამართლოსა და პროკურატურის რეფორმირების კუთხით. ამის შედეგი იყო ჩვენი დადებითი ანგარიში გასული წლის დეკემბერში“,** — აღნიშნა იოჰანეს ჰანმა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის განცხადებით, ევროკომისიის რეკომენდაცია საქართველოს მოქალაქეების ევროკავშირში უვიზოდ მოგზაურობასთან დაკავშირებით, აღიარებს საქართველოს ერთგულებას ევროპული ღირებულებებისადმი და მთავრობის უნარს, განახორციელოს მკაცრი და ეფექტური რეფორმები.

გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, რაც მთავარია, ეს ნიშნავს, რომ 2016 წელს ბევრი თაობის ოცნება ახდება, როდესაც ქართველებს შეეძლებათ ევროპის ქვეყნებში მოგზაურობა და იქ ექვსი თვის განმავლობაში, ვიზის გარეშე, 90 დღით დარჩენა.

**„ეს აღნიშნავს ჩვენი ქვეყნის განვითარებაში ახალი ეტაპის დასაწყისს. ეს ასევე არის ევროკავშირსა და საქართველოს შორის არსებული შთამბეჭდავი თანამშრომლობის, კერძოდ, ამ პროცესში ჩართული საქართველოს სამთავრობო უწყებების პროფესიონალიზმისა და ჩვენი ევროპელი პარტნიორებისა და ევროკავშირის უწყვეტი მხარდაჭერის შედეგი, რომელიც მოახდენს უმნიშვნელოვანეს გავლენას ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებულ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ ხელშეკრულების სრული პოტენციალის რეალიზებაზე და ხელს შეუწყობს ქართულ ბიზნესს მოძებნოს ახალი მიდგომები ევროპის ბაზრებზე დასამკვიდრებლად“,** — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

საქართველოს „ატლანტიკური საბჭოს“ აღმასრულებელი დირექტორის, გიორგი მუჩაიძის განცხადებით უვიზო რეჟიმის ამოქმედება ძალიან სერიოზული მიღწევაა, რომელიც წლების განმავლობაში წინა და ახლანდელი მთავრობის მიერ განხორციელებული რეფორმების შედეგია.

**„რა თქმა უნდა, ამ კუთხით მისასალმებელია ის პროგრესი, რაც უკვე მიღწეულია. მაქვს მოლოდინი, რომ ზაფხულისთვის ამოქმედდება უვიზო მიმოსვლის პროცესი“,** — აცხადებს გიორგი მუჩაიძე.

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების იმპლემენტაციის საკითხზე რეზოლუციის პროექტს გამოეხმაურა საგარეო საქმეთა მინისტრი. მიხეილ ჯანელიძის განცხადებით, დადებითი შეფასება ხდება იმ პროცესის, რომელიც მიღწეული იქნა ვიზალიბერალიზაციის განხორციელების პროცესში და ასევე გამოხატულია პოლიტიკური მხარდაჭერა, რომ ეს პროცესი დასრულდეს.

**„ყურადღების გამახვილება ხდება იმ დემოკრატიულ რეფორმებზე, რომელიც მიმდინარეობს ქვეყანაში და რომელიც უნდა გაგრძელდეს. ეს არის საქართველოს მთავარობის პრიორიტეტი, რომ უზრუნველყოფილ იქნას როგორც სასამართლოს დამოუკიდებლობა, ასევე მედიათავისუფლება“,** — აღნიშნა ჟურნალისტებთან საუბრისას მიხეილ ჯანელიძემ.

ევროპარლამენტის რეზოლუციას გამოხმაურება მოჰყვა თბილისში. საპარლამენტო უმრავლესობის განცხადებით, არის საკითხები, რომელთაც თვალი უნდა გავუსწოროთ და იმ შემთხვევაში, თუ შენიშვნები დარჩება, საჭიროა მუშაობა ამ მიმართულებით. თუმცა, როგორც უმრავლესობა ამბობს, რეზოლუციაში ძალიან ბევრი პოზიტიური ნაბიჯია ასახული, რის გამოც ევროპარლამენტს მიაჩნია, რომ საქართველო იმსახურებს ვიზალიბერალიზაციას.

**„არის შენიშვნა, რომელიც მისაღებია. ზოგ შემთხვევაში კი მეტი ახსნა-განმარტებაა საჭირო ჩვენი მხრიდან. გამოთქმული შენიშვნები კი ჩვენთვის მისაღებია და რა თქმა უნდა, ქართული მხარე ამას გაითვალისწინებს. თუმცა, რაც მნიშვნელოვანია, აღნიშნულია ჩვენი მიღწევები ვიზალიბერალიზაციის გზაზე და პირდაპირ არის ნათქვამი, რომ ისინი არ იმოქმედებენ შედეგებზე“,** — აცხადებს დეპუტატი ლევან ბერძენიშვილი.

„თავისუფალი დემოკრატების“ წევრის, დეპუტატ ვიქტორ დოლიძის განცხადებით არის კრიტიკა, მაგრამ არის დადებითი პასაჟებიც, რაც აბსოლუტურად ნორმალურია ნებისმიერი დოკუმენტისთვის.

**„ახლა ყველაზე მთავარია, ხელისუფლებამ ეს ყველაფერი გაითვალსიწინოს და საერთოდ არ არსებობდეს კითხვები იმასთან დაკავშირებით, რომ თავისუფალ მედიას რაიმე სახით შესაძლოა შეეხოს ხელისუფლება. ასევე, საერთოდ არ არსებობდეს კითხვები იმასთან დაკავშირებით, რომ სასამართლო უნდა იყოს თავისუფალი“,** — ამბობს ვიქტორ დოლიძე.

**მართა ლაბაძე**

◉ ენერგოუსაფრთხოება



# გაზის მიწისქვეშა „მუთაქა“

**უსაფრთხოების სხვადასხვა სახეობებს შორის, რომელთა დაცვითაც მსოფლიოს უკლებლივ ყველა ქვეყანა შიდა თუ გარეშე გამოწვევებისგან თავის დაღწევას ცდილობს, ენერგეტიკული მუდამ ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. ბუნებრივია, ამ მხრივ თითოეული ქვეყანა ძირითადად იმ მიმართულებით მოძრაობს, რომელიც მისთვის უფრო ხელსაყრელია — მაგალითად, ნავთობითა და ბუნებრივი გაზით მდიდარი ქვეყნები ამ სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებელ ინფრასტრუქტურას ანვითარებენ, ჰიდროენერგეტიკული რესურსებით მდიდარი ქვეყნები დიდ, საშუალო და მცირე ჰიდროელექტროსადგურების ქსელებს აფართოებენ. და ა. შ. ამასთან, ბევრი ქვეყანა ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხს ცდილობს, კომპლექსურად მიუდგეს, რაც, ბუნებრივია, პრაგმატულად სავსებით გამართლებულია — ვინიცობაა გარკვეული შეფერხება ერთი მიმართულებით მოხდეს, სათადარიგო (ანდა, სულაც, რამდენიმე). ვარიანტი მზად არის!**

მაგრამ, ასეთი სურვილის არსებობის შემთხვევაშიც კი, საკუთარი ენერგეტიკული უსაფრთხოების დაცვის შესაძლებლობათა გამრავალფეროვნება, ხშირად, გარკვეულ მიზეზთა გამო, ვერ ხერხდება. მათ ჩამოთვლას და დეტალურად გარჩევას ამჟამად არ შევუდგებით, ვინაიდან ამ ჯერზე მხოლოდ ერთ-ერთ მათგანზე გვინდა შევჩერდეთ. მხედველობაში გვაქვს ბუნებრივი გაზის მიწისქვეშა საცავების აგების საკითხი, რაზეც საქართველოში აქტიური სჯა-ბაასი რამდენიმე ათეული წელია მიმდინარეობს. ამ მიმართულებით 80-იან წლებში საკმაოდ აქტიური ნაბიჯებიც გადაიდგა. იმ ხანებში საქართველოში მიწისქვეშა გაზსაცავების ასაშენებლად რამდენიმე პერსპექტიული გეოლოგიური სტრუქტურა განიხილებოდა, მაგრამ აქტიური სამუშაოები ამ მიმართულებით აღარ გაგრძელდა. საკითხი კიდევ უფრო მძაფრად დადგა საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, როცა რუსეთთან ურთიერთობები, მათ შორის გაზმომარაგების მხრივაც, უაღრესად დაიძაბა. სწორედ ეს გარემოება გახდა იმის საბაბი, რომ ევროკავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის დახმარებით, საქართველოში მიწისქვეშა გაზსაცავის მშენებლობისთვის საჭირო გეოლოგიური და გეოფიზიკური კვლევითი სამუშაოები ჩატარდა, მათ შორის, ათასწლეულის გამოწვევის პროგრამის ფარგლებშიც.

როგორც ზემოთ ითქვა, ბუნებრივი გაზის მიწისქვეშა საცავის ასაგებად საქართველოში წლების მანძილზე სათანადო სამუშაოები რამდენიმე პერსპექტიულ უბანზე განიხილებოდა. ბოლო დრომდე ერთ-ერთ ასეთ სავარაუდო სტრუქტურად, აღმოსავლეთ საქართველოში, თბილისის მახლობლად სოფელ ნინოწმინდასთან თაღი იყო მიჩნეული, თუმცა კი შარშანწინ, საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის წარმომადგენელთა განცხადებით, ამ მხრივ გაცილებით პერსპექტიულად სამგორის სამხრეთი თაღი მიიჩნიეს და, საბოლოო ანგარიშით, ის შეირჩა კიდეც. აღნიშნულთან დაკავშირებით, კომპანიაში აცხადებენ, რომ სამგორის სამხრეთი თაღის სტრუქტურაზე გაზსაცავის აშენებისა და მწყობრში ჩადგომის შემდგომ, იქ შესაძლებელი იქნება დაახლოებით 230 მილიონი კუბური მეტრი ბუნებრივი გაზის შენახვა. ეს კი ქვეყნის გაზის მოხმარების წლიური ოდენობის დაახლოებით 15 პროცენტს შეადგენს.

გაზის მიწისქვეშა საცავების მოსაწყობად გეოლოგიურად ვარგისი სტრუქტურის მიგნების გარდა, ამ ტიპის მარაგებში ბუნებრივი გაზის მოქცევას იმ მოტივით არიდებდნენ თავს, რომ ეს ეკონომიურად არახელსაყრელად მიაჩნდათ. ამის მთავარი მიზეზი მშენებლობაში უზარმაზარი ფულადი სახსრების დაბანდების აუცილებლობა სახელდებოდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ბევრი ექსპერტი დღესდღეობითაც ამ პოზიციაზე დგას — მათი აზრით, როცა ქვეყანაში ბუნებრივი გაზის ყოველწლიური მოხმარება დაახლოებით ორ მილიარდ კუბურ მეტრს ჭარბობს, საჭიროების შემთხვევაში 15-პროცენტიანი დეფიციტის დაბალანსება მიწისქვეშა გაზსაცავის გარეშეც შეიძლება. აქედან გამომდინარე, ძვირად ღირებული გაზსაცავის აგება ნამდვილად ზედმეტი ფუფუნებაა. ამიტომაცაა, რომ **ენერგეტიკის ექსპერტთა ნაწილის აზრით, ძვირად ღირებული მიწისქვეშა გაზსაცავის აშენების მაგივრად, გაცილებით გონივრული იქნებოდა და მეტ სარგებელსაც მოიტანდა, განსაკუთრებით კი ენერგოუსაფრთხოების უზრნველყოფის მხრივ, კაპიტალის ამ მძლავრი ნაკადის ჰიდროენერგეტიკის განვითარებაზე მიმართვა.**

საქართველოს ჰიდრორესურსების გათვალისწინებით, საკითხისადმი ასეთი მიდგომა იქნებ მართებულიც იყოს, მაგრამ, ამავე დროს, საერთაშორისო გამოცდილებით თუ ვიმსჯელებთ, ახალი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობასთან ერთად, ნებისმიერი ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში, ბუნებრივი გაზის მიწისქვეშა საცავებს სხვა, განსაკუთრებული როლის შესრულება შეუძლია, რაც დაცულობის ხარისხის ამაღლებას სხვა მხრივ უზრუნველყოფს.

არსებული მონაცემებით, ამჟამად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში დაახლოებით შვიდი ასეული გაზის მიწისქვეშა საცავია, მათ შორის ჩვენს უახლოეს სამეზობლოშიც. კერძოდ, ამ მხრივ ყველაზე დიდი სისტემა აქვს **რუსეთს,** რომელსაც თავის მიწისქვეშა გაზსაცავებში 400 მილიარდი კუბური მეტრი გაზის შენახვა შეუძლია, რაც ყოველწლიური მოხმარების დაახლოებით 10 პროცენტამდეა. **უკრაინას** 13 მიწისქვეშა გაზსაცავი აქვს. ასეთივე მიწისქვეშა საცავები აქვთ **აზერბაიჯანს** (ორი) და **სომხეთს** (ერთი).

ამდენად, ცხადია, არავინ ამბობს იმას, რომ ჩვენ აუცილებლად მეზობლების მიბაძვით უნდა ვიმოქმედოთ, მაგრამ მათი გამოცდილება რომ ყურადღა მისაღები, ამას, ვფიქრობთ, ბევრი მტკიცება არ სჭირდება.

**ოთარ ტურაბელიძე**

◉ ნათელი წერტილი

# ჯანმრთელობის საქმე ჯანმრთელად გამოიყურება

**„ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის საქალაქო სამსახური ძალიან აქტიურად მუშაობდა მთელი წლის განმავლობაში. 200 მლნ ლარამდე ბიუჯეტი, რაც ამ სამსახურს პროექტებისა და პროგრამების განსახორციელებლად ჰქონდა გათვალისწინებული, საკმაოდ ეფექტიანად იქნა ათვისებული. ჩვენ სამი ახალი მუნიციპალური პროგრამა დავამატეთ 2015 წელს, ასევე, 2016 წელსაც სამი ახალი პროგრამა იქნა გათვალისწინებული, რომლითაც სრულად მოვიცავით ყველა ჩვენი წინასაარჩევნო დაპირება, რაც 2014 წლის ზაფხულში მივეცით თბილისელებს და როცა სამსახური სტაბილურად განაგრძობს ამ პროგრამების განხორციელებას, რასაკვირველია, ეს თითოეულ ჩვენს თანამოქალაქეზე აისახება, რომელთაც სჭირდებათ მუნიციპალიტეტის მხარდაჭერა. ერთდროულად, წლის განმავლობაში ჩვენ 45 000-მდე მოქალაქეს მოვემსახურეთ და სხვადასხვა სახის ჯანდაცვითი თუ სოციალური მომსახურება გავუწიეთ. სხვადასხვა სახის სარგებელი მიიღეს ჩვენმა თანამოქალაქეებმა, რაც, რასაკვირველია, მათ ოჯახებზე პოზიტიურად აისახა და გავაგრძელებთ კიდეც ძალიან აქტიურ მუშაობას 2016 წლის განმავლობაში. წელს ჩვენ 9 მლნ ლარით მეტი ბიუჯეტი გვაქვს ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მიმართულებით. ასე რომ, ამ სამსახურის საქმიანობა ნამდვილად წარმატებულია“,** — განაცხადა დავით ნარმანიამ.

2015 წელს ჯანდაცვის მიმართულებით სამი ახალი პროგრამა დაინერგა, კერძოდ, „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის“, რომლის მოსარგებლეა 325 ბავშვი, „C ჰეპატიტით დაავადებულ პირებში მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრისათვის საჭირო კვლევების დაფინანსების“, რომლის ფარგლებში მომსახურება მიიღო 16 107-მა პირმა და „ლეიკემიისა და სხვა ონკოჰემატოლოგიური დაავადების მქონე პაციენტებში (30 წლამდე ასაკის) ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის“ (დაფინანსდა 10 პაციენტი) პროგრამები.

**სხვა პროგრამების შესრულების მაჩვენებელი შემდეგია:**

**2015 წელს „ონკოპრევენციის პროგრამის“ ფარგლებში გაწეული მომსახურების რაოდენობამ 36 333 შეადგინა.**

**„გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლის დაფინანსების პროგრამის“ ფარგლებში 19 440 შემთხვევა დაფიქსირდა.**

**„ნარკომანიის ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამით“ 3 178 პირმა ისარგებლა.**

**ამასთან, სოციალური მიმართულებით 2015 წელს ოთხი ახალი პროგრამა განხორციელდა:**

**„სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი 500-ლარიანი დახმარების პროგრამით“ დახმარება მიიღო 828-მა ოჯახმა.**

**„შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის პროგრამა“, რომლის ფარგლებშიც 16 პროექტი დაფინანსდა;**

**„სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლოთა მატერიალური დახმარების პროგრამა“, რომლის ფარგლებში, 900-ლარიანი დახმარება 2 380 პირმა მიიღო.**

**„სოციალურად დაუცველი 18 წლამდე მკვეთრად და მნიშვნელოვნად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მატერიალური დახმარების პროგრამით“ 800 ლარი მიიღო 1 933 შშმ პირმა.**

**სხვა ძირითადი პროგრამების დაფინანსების კუთხით მდგომარეობა შემდეგია:**

**„100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარების პროგრამის“ ფარგლებში, 1000-ლარიანი დახმარება 39-მა ხანდაზმულმა მიიღო.**

**„სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის მე-3, მე-4, მე-5 და მეტი შვილის დაბადებისთვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამის“ ფარგლებში 382 ბენეფიციარი დაფინანსდა.**

**„შშმ პირთა საკურორტო მომსახურების პროგრამის“ ფარგლებში, მთისა და ზღვის კურორტზე 1650-მა შშმ პირმა და მათმა გამყოლმა დაისვენა.**

**„სოც.დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე დახმარების პროგრამის“ ფარგლებში, გაორმაგებული ყოველთვიური 50-ლარიანი დახმარება 11 869 ბავშვმა მიიღო.**

**„სოც.დაუცველ ოჯახებში მცხოვრები ბავშვების მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლებში სწავლების დაფინანსების პროგრამით“ 1 726 ბავშვი დაფინანსდა.**

**„სოც.დაუცველ ოჯახებში მცხოვრები ბავშვების ხელოვნების სკოლებში სწავლების დაფინანსების პროგრამით“ 2 554 ბავშვი დაფინანსდა.**

**„სოც.დაუცველ ოჯახებში მცხოვრები ბავშვების სპორტულ სკოლებსა და საცურაო აუზებში სწავლების პროგრამით“ 1294 ბავშვი დაფინანსდა.**

**„შინმოვლის თანადაფინანსების პროგრამის“ ბენეფიციარი, დეკემბრის მდგომარეობით, 841 პირი იყო.**

**„მეორე მსოფლიო ომის ვეტერანთა ერთჯერადი დახმარების პროგრამით“, 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით, 1000 ლარით დაფინანსდა 569 ვეტერანი და 700 ლარით - 96 ამ ომში მარჩენალდაკარგული პირი.**

**„კომუნალური სუბსიდირების პროგრამით“ ელ.ენერგიის გადასახადის სუბსიდია ხუთი თვის განმავლობაში ყოველთვიურად 384 ათასზე მეტმა მომხმარებელ/აბონენტმა მიიღო, დასუფთავების - 314 ათასამდე აბონენტმა, ხოლო წყლის - 326 ათასამდე აბონენტმა. აღსანიშნავია, რომ ქალაქის მერის წინასაარჩევნო დაპირების შესაბამისად, 2015 წელს ბენეფიციარებისთვის, რომელთა სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში არ აღემატებოდა 70 001-ს, სუბსიდია გაორმაგდა და 500 ლარი გახდა.**

**„სხვა სოციალური დახმარების ღონისძიებების პროგრამა“ ითვალისწინებს თბილისში რეგისტრირებული უმწეო და გაჭირვებულ მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების სამედიცინო და სხვა სერვისების მომსახურების დაფინანსებას. სულ, 2015 წელს, სამსახურში 25 833 განაცხადი შევიდა, საიდანაც, ნაწილობრივ ან სრულად 24 562 დაფინანსდა, ხოლო 1 271-ზე უარია ნათქვამი. საქართველოს კლინიკებში სამედიცინო მომსახურების მიღების თხოვნით დაფინანსებულია 24 235 განაცხადი, ხოლო უცხოეთის კლინიკებში — 327.**





## პორტუგალიის პრეზიდენტად აირჩიეს კანდიდატი სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან

დამაჯერებელი გამარჯვება პირველ ტურში მოიპოვა კანდიდატმა მარსელო რებელო დი სოზამ, რომელმაც ამომრჩეველთა ხმების 52,78 პროცენტი მიიღო და მნიშვნელოვნად გაუსწრო სხვა კანდიდატებს. პორტუგალიის პრეზიდენტის ამჟამინდელ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო კანდიდატების რეკორდულმა ოდენობამ.

## „კომერსანტი“ თურქეთი რუსეთის ფედერაციის სანქციებს უპასუხებს მეტალურგებისათვის ანტიდემპინგური სასამართლო ბაჟის შემოღებით

თურქეთის ეკონომიკის სამინისტროს გამოქვეყნებული ანგარიშის თანახმად, რუსი მეტალურგები სადემპინგო ბაჟს ღებულობდნენ 13,66 პროცენტამდე. ასევე სადემპინგო ბაჟი დადგენილია მეტალურგებისათვის ჩინეთიდან, სლოვაკიიდან და იაპონიიდან. წყაროების მონაცემებით, თებერვალში მიღებული იქნება გადაწყვეტილება ანტიდემპინგური ბაჟების შესახებ ექსპორტიორებისათვის.



## ერაყი გამოვიდა უცხოური ჯარების მონაწილეობის წინააღმდეგ ისლამური სახელმწიფოსთან ბრძოლაში თავის ტერიტორიაზე

„ერაყი სუვერენული სახელმწიფოა, იგი არავის მისცემს ნებას, დაარღვიოს მისი სუვერენიტეტი“, — განაცხადა ერაყის საგარეო საქმეთა მინისტრმა იბრაჰიმ-ალ ჯააფარიმ, რომელიც ბახრეინში იმყოფებოდა არაბეთ-ინდოეთის ფორუმზე. მან აღნიშნა, რომ მთელი მმართველობა ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლაში „განხორციელდება მხოლოდ ერაყელი ძალებით დამოუკიდებლად, რომელიმე უცხო ძალების ჩარევის გარეშე“.

## გილმენდის პროვინციაში ავღანეთის არმიის სარდლობა შევებულებაში გაგზავნეს კორუფციისა და არაეფექტიანობის გამო

ავღანეთის ეროვნული არმიის 215-ე კორპუსს „მაივანდის“ საკადრო გადაადგილების შესახებ ისაუბრა ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების ბრიგადის გენერალმა ავღანეთში ვილსონ შოფნერმა. ავღანეთის თავდაცვის სამინისტროში დაადასტურეს ინფორმაცია ცვლილებების შესახებ ქვეყნის უდიდესი პროვინციის სარდლობის შემადგენლობაში.



## ავსტრალიას სურს, უარი თქვას მონარქიაზე და გახდეს რესპუბლიკა

ამის მხარდასაჭერად გამოდიან ქვეყნის ყველა შტატისა და ტერიტორიის ხელმძღვანელები დასავლეთი ავსტრალიის პრემიერის გამოკლებით, რომელიც მხარს უჭერს ქვეყნის რესპუბლიკად გადაქცევას, მაგრამ მიაჩნია, რომ ამისთვის ჯერ დრო არ დამდგარა. ამ მომენტისათვის სახელმწიფოს მეთაურად ითვლება ბრიტანეთის დედოფალი ელისაბედ მეორე.

## ისლამურმა სახელმწიფომ გამოაქვეყნა პარიზის ტერორისტების „უკანასკნელი გზავნილები“

ისლამური სახელმწიფოს ტერორისტებმა ინტერნეტზე განათავსეს ახალი ვიდეო სათაურით „დავხოცავთ მათ ყველგან, სადაც შევხვდებით“. ჩანაწერში არის ისლამური სახელმწიფოს მხრიდან ტრადიციული დაშინება დასავლეთის სამყაროების მისამართით, მაგრამ ამასთან ერთად ნაჩვენებია კადრი ბოევიკებით, რომლებმაც ნოემბერში მოაწყვეს თავდასხმა საფრანგეთის დედაქალაქზე.

## ოლანდმა ისლამური სახელმწიფოს ვიდეოჩანაწერს უპასუხა დაპირებით – გააგრძელოს ბრძოლა ტერორისტებთან



საფრანგეთის პრეზიდენტმა ვიდეოს იმ ბოევიკების უკანასკნელი გზავნილებით, რომლებმაც პარიზში 13 ნოემბერს შეტაკებები განახორციელეს, გაუკეთა კომენტარები. „ჩვენ ვერ შეგვაშინებთ, არანაირი დამუქრება ვერ აიძულებს საფრანგეთს, ეჭვი შეეპაროს იმაში, თუ რა უნდა გააკეთოს მან ტერორიზმთან ბრძოლის ფარგლებში. ეს კადრები მხოლოდ ახდენენ დანაშაულთა ორგანიზატორების დისკვალიფიცირებას“, — განაცხადა სახელმწიფოს მეთაურმა.

## კანადის სკოლას სადაც, მოზარდმა ტერორისტული აქტი ჩაიდინა, დაანგრევენ და ახალს ააშენებენ

მე მინდა, რომ ეს სკოლა დაინგრეს და შემდეგ აშენდეს ხელახლა, ვინაიდან აქ ამდენი ტკივილები იყო, ეს არის ტრავმა ქალაქის ყველა მცხოვრებისათვის“, — განაცხადა ქალაქის მერობის მოვალეობის დროებითმა შემსრულებელმა კევინ ჟანმიემ, რომლის ერთადერთი 21 წლის ქალიშვილი დაიღუპა ინციდენტის შედეგად.



## ამერიკის შეერთებულ შტატებში თოვლის ქარიშხლის დროს დაღუპულთა რიცხვი 28 კაცამდე გაიზარდა

ამერიკის შეერთებული შტატების სამინისტროები და ფედერალური მთავრობის უწყებები, რომლებიც ვაშინგტონში მდებარეობენ, ორშაბათს არ მუშაობდნენ თოვლის ქარიშხლის შედეგების გამო. ორშაბათს დაკეტილი იყო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები კოლუმბიის ფედერალურ ოლქში, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს ამერიკის შეერთებული შტატების დედაქალაქი.

## რუსეთს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში მუშაობა აეკრძალა

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მმართველმა კომიტეტმა შეათანხმა პრეზიდენტ ანნ ბრასერის პოზიცია, იმასთან დაკავშირებით, რომ რუსეთს ასამბლეის მუშაობაში მონაწილეობის უფლება არ ექნება.

როგორც PACE-ს პრეზიდენტმა განაცხადა, რუსეთის დელეგაციას ასამბლეის საქმიანობაში მონაწილეობა, რუსეთის პარლამენტის ახალ არჩევნებამდე ექნება ჩამორთმეული.



ამის შესახებ ანნ ბრასერმა სტრასბურგში, ბიუროს სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა.

მისი თქმით, იურიდიული პოზიცია, რომელიც მან რუსეთს ერთი კვირის წინ გაუგზავნა, რომელიც ითვალისწინებს, რომ რუსეთი ვერ შეძლებს საკუთარი დელეგაციის ფორმირებას წლის ბოლომდე, ძალაში რჩება.

„გამონაკლისი ამ შემთხვევაში მხოლოდ არჩევნებია. რუსეთში არჩევნები მიმდინარე წლის სექტემბერშია დაგეგმილი“, — აღნიშნა ბრასერმა და რუსეთის სათათბიროს დეპუტატ კონსტანტინ კოსაჩოვის განცხადებასაც გამოეხმაურა, რომლის მიხედვით, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტის პოზიციას იურიდიული საფუძველი არა აქვს.

„კოსაჩევი თვლის, რომ მე ემოციურად ვრეაგირებ და რატომღაც თვლის, რომ ეს ჩემი ქალობის ბრალია. საქმე ეხება არა ემოციებს, არამედ წესებს. იურიდიულად სესია იანვარში იწყება და წლის ბოლომდე გრძელდება, ხოლო დელეგაციის შემადგენლობის წარდგენა მხოლოდ სესიის დაწყებამდეა შესაძლებელი. PACE-ს ბიურო დაგვეთანხმა ამაში“, — განაცხადა ბრასერმა.

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტის განცხადებით, რუსეთის დელეგაციამ უარი განაცხადა ასამბლეის ზამთრის სესიაში მონაწილეონის მიღებაზე, რითაც მან დაკარგა უფლება, 2016 წლის მანძილზე სესიის მუშაობაში მონაწილეობა მიეღო.

## ანასტასია ბენდუქიძე-გონჩაროვა კახა ბენდუქიძის ქონების ნახევარს მიიღებს

ანასტასია გონჩაროვა სასამართლოებმა ოფიციალურად ცნეს კახა ბენდუქიძის მემკვიდრედ.

გონჩაროვამ პროცესები მოიგო თბილისში, მოსკოვსა და ლონდონში გამართულ სასამართლო სხდომებზე. ის მამამისის ქონების ნახევრის მფლობელი გახდება.

რაც შეეხება ქონების მეორე ნახევარს, ის კახა ბენდუქიძის მეუღლეს ნატალია ზოლოტოვას ერგება.

როგორც გამართულ პრესკონფერენციაზე ანასტასია ბენდუქიძე-გონჩაროვამ განაცხადა, სასამართლოებზე წარდგენილ მტკიცებულებებს შორის იყო დნმ-ის ანალიზიც.

სამომავლო გეგმებზე საუბრისას კახა ბენდუქიძის ქალიშვილმა განაცხადა, რომ აპირებს მამის მიერ დაწყებული პროექტების გაგრძელებას, თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტების საქმიანობაში მონაწილეობას.

„მამაჩემის უნივერსიტეტები იყო მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი. მან ამაში ჩადო არა მხოლოდ ფული, არამედ მთელი ენერგია და მე გავაკეთებ ყველაფერს, რომ მისი დანატოვარი საქმე ღირსეულად გავაგრძელოთ,“ — განაცხადა ანასტასია ბენდუქიძე-გონჩაროვამ.

## ასადმა რამდენიმე ქალაქზე კონტროლი დაიბრუნა

ასადის ჯარებმა ბოლო 24 საათის განმავლობაში ლათაკიის პროვინციაში რამდენიმე ქალაქზე დაიბრუნეს კონტროლი. სამთავრობო ჯარებს პოზიციების გამყარებაში რუსული ავიაცია და ირანული დაჯგუფება ჰესბოლა ეხმარება. ინფორმაციას CNN ავრცელებს.

სირიის ქალაქ ალეპოში სამთავრობო ჯარებისა და ოპოზიციის შეტაკებების შემდეგ გადარჩენილებს კვლავაც ეძებენ. სირიაში მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციების ცნობით, მსხვერპლი საკმაოდ დიდია, მათ შორის მშვიდობიან მოქალაქეებს შორისაც.

შეგახსენებთ, ლატაკია სირიის პრეზიდენტის ბაშარ ალ ასადის მხარდამჭერებს აქვს დაკავებული. ის თურქეთის საზღვართან ძალიან ახლოს მდებარეობს.



ვითარება

# ლევან კობიაშვილი: „ცხადაძის წამოწყება არჩევნებში დამარცხებული პიროვნებების მხრიდან მოდის - წაგება ვერ მოუნელებიათ!“



**საქართველოს ეროვნულ ნაკრებს, ალბათ, ახალი მწვრთნელი ეყოლება. ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლევან კობიაშვილმა შაბათს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ უახლოეს პერიოდში აღმასკომი შეიკრიბება და ცხადაძის გათავისუფლების საკითხს დააყენებს. კობიაშვილმა იქვე დაამატა — პირადად ჩემთვის გადაწყვეტილია, რომ ცხადაძე ნაკრებს ველარ გაწვრთნისო.**

კობიაშვილთან ერთად პრესკონფერენციაზე სფფ-ის გენერალური მდივანი **დავით მუჯირი** და პირველი ვიცე-პრეზიდენტი **კახა ჭუმბურიძე** იყვნენ. ჭუმბურიძემ ჯერ კიდევ პარასკევს, ტელეკომპანიებზე GDS-სა და „მაესტროზე“ გაასაჯაროვა კონტრაქტის დეტალები და გამოაცხადა ცხადაძის ხელფასიც: 100 000 ლარი თვეში ხელზე.

**ლევან კობიაშვილი:** — ჩემთვის მიუღებელი და გაუგებარი იყო, რასაც კახა ცხადაძე ლაპარაკობდა. მოლაპარაკებები ჩემსა და მას შორის თვენახევრის წინ დაიწყო და შევთავაზე არა ფიქსირებული ხელფასი, არამედ ნახევარი და პლუს ბონუს-სისტემა. ჩვენს შორის შედგა სამი შეხვედრა და სამივეჯერ განვუცხადე, რომ აბსოლუტურად ვუჭერდი მხარს მის ნაკრებში ყოფნას, ოღონდ ახალი კონტრაქტით. სამწუხაროდ, კახასგან ყველა შეხვედრის შემდეგ კატეგორიულ უარს ვისმენდი. დღეს რა დაპირისპირებაცაა, მთლიანად კახას დამსახურებაა. ბოლო შეხვედრა მისი სკანდალური პრესკონფერენციის წინა საღამოს შედგა, სადაც კიდევ ერთხელ ავუხსენი, თუ რას ვთავაზობდი. ცხადაძემ იცოდა, რომ ორი დღე თბილისში არ ვიქნებოდი და იმ საღამოს შემდეგ არც ჩემს ზარებს პასუხობდა და არც — მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს. აქედანაც ჩანს მისი პატივისცემა ჩემს მიმართ, რასაც ნამდვილად არ ვიმსახურებ.

...გარდა იმისა,რომ ხალხს აინტერესებს, ვალდებულიც ვარ, ყველა ფინანსურ დეტალზე ვისაუბრო: ფედერაცია ცხადაძის კონტრაქტში იხდის 1,5 მილიონ ლარს, რაც მომდევნო ორ წელიწადში 3 მილიონს მიაღწევდა. ეს მარტო ცხადაძეს. რაც შეეხება მის შტაბს, ისინი იღებდნენ წლიურად 800 000 ლარს. კახას შევთავაზე მისი ხელფასის 50 პროცენტის გადახდა (ანუ 50 000 ლარის), ხოლო დანარჩენი ბონუსის სახით. ხაზგასმით ვამბობ, თუ ნაკრები მესამე ადგილზე გავიდოდა, კახა ჩვეულებრივ თავის ხელფასს მიიღებდა, ანუ 100 000 ლარი გამოუვიდოდა თვეში, ხოლო თუ მეორეზე გავიდოდა, დამატებით კიდევ ხელფასის 50 პროცენტს მიიღებდა.

...პირდაპირ ვიტყვი: კახამ პირდაპირ ეთერში მოიტყუა, თითქოს მუნდიალზე გასვლის შემთხვევაში მას ბონუსად 30 პროცენტი ეკუთვნოდა, რომელსაც ფეხბურთელებს გაუნაწილებდა. მგონი ყველამ ვიცით, მეორე ადგილზე გასვლა ავტომატურად ფინალური ეტაპის საგზურს რომ არ იძლევა, იქ კიდევ ფლეი-ოფია გადასალახავი. ამ დროს ჩემი წინადადება იყო ასეთი: მეორე ადგილზე გასვლის შემთხვევაში დამატებით 50 პროცენტი ეძლეოდა, მიუხედავად იმისა, გავიდოდა თუ არა მსოფლიოს ჩემპიონატზე. პლუს, მეორე ადგილისთვის ბონუს-თანხას ის მიიღებდა სპორტის სამინისტროდანაც.

...2015 წლის აპრილში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ კახა ცხადაძეს, ეგრეთ წოდებულ უხელფასო პერიოდში, უპროცენტო სესხი მისცა 100 000 აშშ დოლარის სახით. შემდგომში ცხადაძეს ყოველთვიურად ეჭრებოდა თანხა და დღევანდელი მომაცემებით 50 000 დოლარი გასასტუმრებელი აქვს. და ამ თანხის განულებაც შევთავაზე ახალი კონტრაქტის ხელმოწერის შემთხვევაში.

...ცხადაძეს სხვა დავალიანებაც აქვს. 2009 წლის ივნისში ფედერაციის აღმასკომზე შემდეგი საკითხი განიხილეს: ცხადაძემ თავად ითხოვა საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებიდან წასვლა ბაქოს „ინტერში“. აი, რა წერია ფედერაციის მაშინდელ განცხადებაში: „ცხადაძემ განგვიცხადა, რომ მისთვის უმთავრესია ფინანსური მომენტი“. აღმასკომმა ცხადაძე გაათავისუფლა 21-წლამდელებიდან, კომპენსაციის სახით კი კახას 40 000 ლარი უნდა გადაეხადა ფედერაციისთვის. ეს თანხა ჯერაც არაა გადახდილი.

...და ამის შემდეგ ვსვამ კითხვას: საჭიროა თუ არა ნაკრებში მწვრთნელი, რომელსაც არ აქვს იმედი, რომ პროგრამა-მინიმუმს შეასრულებს და ამიტომაც ითხოვს ფიქსირებულ ხელფასს და უარს ამბობს ბონუს-სისტემაზე. კახამ ყველანაირად სცადა, რომ სიტუაცია არეულიყო.

...ნაკრების ყველა ფეხბურთელთან განახორციელა ზარი, რათა მხარში დასდგომოდნენ. ფეხბურთელებმა არ იცოდნენ საქმის ვითარება და მხარს ამიტომაც უჭერდნენ განცხადებებში.

...მძიმე თემაა, რომ ცხადაძისთვის თურმე ფედერაციის პრეზიდენტის შეთავაზება არაფერს ნიშნავს და თურმე, მისი თქმით, მე კი არა, სხვა იღებს გადაწყვეტილებებს. თან ამას ამბობს და თან აღნიშნავს, ლევან კობიაშვილი ჩემი მეგობარიაო. კი ბატონო, ჩემი მეგობარიცაა, მაგრამ ეს ბრალდება ჩემთვის შეურაცხმყოფელია: ლევან კობიაშვილი იყო და დარჩება დამოუკიდებელ პრეზიდენტად.

...მძიმე მოსასმენი იყო ისიც, რაც ცხადაძემ გუშინ თქვა: თურმე მხოლოდ ახლა გაიგო, რა შესთავაზა ფედერაციამ. ეს არის ტყუილი და აბსოლუტური სისულელე. ცხადაძის კონტრაქტში წერია, რომ ფედერაციას ნებისმიერ დროს შეუძლია მწვრთნელის პირობებს გადახედოს. ცხადაძე ამბობს, ეს მხოლოდ მომდევნო შესარჩევის ბოლოს შეიძლებაო. რა სისულელეა?! შესარჩევი ციკლი 2017 წლის შემოდგომაზე მთავრდება და მერე რაღას უნდა გადაეხედოს, 2017 წლის 31 დეკემბერს კონტრაქტის ვადაც სრულდება და რაღაა გადასახედი?

...სანამ კობიაშვილია სფფ-ის პრეზიდენტი, ვერავინ ვერ ჩაერევა მის კომპეტენციაში და ამაოდ ცდილობენ ვიღაცეები, რომ საქმე არიონ ფედერაციაში. ვამბობ იმ პიროვნებებზე, რომლებიც აქამდე იყვნენ ფედერაციაში და პირადი ინტერესებიდან გამომდინარე მუშაობდნენ. იცოდნენ, რომ მათი ადგილი ქართულ ფეხბურთში აღარ მოიძებნება!

...ცხადაძის ბოლოდროინდელი ამბებიც სწორედ იმ ჯგუფების ინიციატივაა, რომლებმაც 3 ოქტომბერს ფედერაციის არჩევნები წააგეს და ეს ვერ მოუნელებიათ!

...უახლოეს პერიოდში აღმასკომი შეიკრიბება და განიხილავს ცხადაძის გათავისუფლების საკითხს, თუმცა, პირადად ჩემთვის ეს საკითხი გადაწყვეტილია: ის ველარ იმუშავებს ნაკრებში. გულდასაწყვეტია, მაგრამ კახამ ყველაფერი გააკეთა საამისოდ. ...ახალი მწვრთნელის კანდიდატურები? ამაზე საუბარი ჯერ ნაადრევია.

**კახა ჭუმბურიძე:** „ცხადაძემ მეხუთე ადგილზე მყოფი ნაკრები ჩაიბარა და ჯგუფიც მეხუთეზე დაასრულა. ნამდვილად ჰქონდა გამონათებები და ფედერაციამ სწორედ ამიტომ შესთავაზა ახალი კონტრაქტი, რომელიც იქნებოდა შედეგზე ორიენტირებული. კახამ ამაზე უარი განაცხადა და თანაც ასეთი აგრესიული და მიუღებელი ფორმებით“.

**დავით მუჯირი:** „კახა ცხადაძემ არა მხოლოდ ფედერაციას, არამედ სახელმწიფო ორგანოებსაც ზიანი მიაყენა თავისი სიტყვებით. ფედერაცია და სპორტის სამინისტრო ერთობლივად აპირებენ პროექტების ამუშავებას და გვსურს, რომ კლუბების თანაბრად დაფინანსების სისტემა თებერვალშივე ამოქმედდეს. ასეც მოხდება და გუნდები ჩემპიონატის განახლებისას უკვე ნორმალურ სიტუაციაში იქნებიან. საწყენი ისაა, რომ ხელისშემშლელი პიროვნებები არიან, 3 ოქტომბრის შემდეგ ყველაფერს რომ ცდილობენ სიტუაციის ასარევად“.

**გიორგი შოთაძე**



## კახა ცხადაძე: „გადადგომას არ ვაპირებ“

**საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი კახა ცხადაძე თანამდებობის დატოვებას არ აპირებს და თუკი მას გაათავისუფლებენ, ფეხბურთის ფედერაციასთან იურიდიული დავის დაწყებას არ გამორიცხავს.**

**ამის შესახებ განცხადება ცხადაძემ გუშინ „პრაიმტაიმის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა.**

**ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელსა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას შორის ურთიერთობა ბოლო დღეებში დაიძაბა. როგორც ცნობილია, ცხადაძეს ფეხბურთის ფედერაციის ახალმა ხელმძღვანელობამ ახალი სახელფასო მოდელი შესთავაზა, რაც ფიქსირებული ხელფასის შემცირებას და საბონუსე სისტემის დაწესებას ითვალისწინებდა, თუმცა, მწვრთნელი ამას კატეგორიულად ეწინააღმდეგება.**

**23 იანვარს გამართულ პრესკონფერენციაზე ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლევან კობიაშვილმა განაცხადა, რომ ცხადაძის ბოლოდროინდელი განცხადებების შემდეგ მასთან თანამშრომლობის გაგრძელებას შეუძლებლად მიიჩნევს და სფფ-ის აღმასრულებელი კომიტეტის უახლოეს სხდომაზე მწვრთნელის გათავისუფლების საკითხი დადგება.**

**კახა ცხადაძე საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად შარშან იანვარში დაინიშნა და მას ფეხბურთის ფედერაციასთან კონტრაქტი 2017 წლის ბოლომდე აკავშირებს.**

სამბო

## ლორიაშვილმა ბარნაულშიც გაიბრწყინა

**სხვადასხვა წლებში სამბისტთა მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონებმა და პრიზიორებმა რუსეთის ქალაქ ბარნაულში „ჩემპიონთა თასზე“ მოიყარეს თავი.** 5 ქვეყნის 11 ტიტულოვანი ფალავანი იბრძოდა პირველობისთვის 100კილოგრამ წონით კატეგორიაში. მათ შორის იყო 2015 წლის მსოფლიოს და ევროპის მარტყოფელი ჩემპიონი დავით ლორიაშვილი. პირველ შეხვედრაში მან მსოფლიოს და ევროპის პრიზიორს, ბელარუს ვასილი კუზნეცოვს 6:0 აჯობა, შემდეგ მსოფლიოს პრიზიორი სერგეი სამოილოვიჩი (ყაზანი) ჩამოიშორა გზიდან, ნახევარფინალში მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონ არსენ ხანჯიანს (რუსეთი) 9:7 მოუგო, „ჩემპიონთა თასის“ გადამწყვეტ პაექრობაში მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი ბელარუსი ანდრეი კაზუსიონოკი 3:1 დაამარცხა და ოქროს მედალთან ერთად სოლიდური ფულადი პრიზიც დაიმსახურა.

**გივი გაგუა.**



ფეხბურთი

## ევროპის სტადიონებზე

**ინგლისი.** „ნორვიჩი“ — „ლივერპული“ 4:5, „მანჩესტერი“ — „საუთჰემპტონი“ 0:1, „ვესტ ჰემი“ — „სიტი“ 2:2, „არსენალი“ — „ჩელსი“ 0:1, „ლესტერი“ — „სტოკი“ 3:0.

**გერმანია.** „ჰამბურგი“ — „ბაიერნი“ 1:2, „შალკე“ — „ვერდერი“ 1:3, „გლადბახი“ — „ბორუსია“ 1:3.

**იტალია.** „იუვენტუსი“ — „რომა“ 4:0, „სამპდორია“ — „ნაპოლი“ 2:4, „ფიორენტინა“ — „ტორინო“ 2:0.



**ესპანეთი.** „მალაგა“ — „ბარსელონა“ 1:2, „ბეტისი“ — „რეალი“ 1:1, „ატლეტიკო“ — „სევილია“ 0:0.

◉ ნარდი

# შენ სიჭარმაგე მითხარი!..

**ქართულ ნარდში საქართველოს ჩემპიონატი 77 წლის ავთანდილ მახარაძემ მოიგო.**

საქართველოს ნარდის ასოციაციისა (პრეზიდენტი თემურ ქურციკიძე) და კომპანია „ლიდერბეთის" (დამფუძნებელი ქართლოს დიასამიძე) ინიციატივითა და ერთობლივი ძალისხმევით გასულ უქმეებზე ქართულ ნარდში საქართველოს ჩემპიონატი გაიმართა. ნოკაუტსისტემით ჩატარებულ შეჯიბრებაში 40-მდე ქალაქისა და რაიონის 256 წარმომადგენელი მონაწილეობდა. დაძაბული ექვსწრიანი ორთაბრძოლების შემდეგ ნახევარფინალში 77 წლის ნატანებელმა (ოზურგეთის მუნიციპალიტეტი) ავთანდილ მახარაძემ დედაქალაქელი ზურაბ ბიჭიკაშვილი დაამარცხა – 9:7 და ფინალში გავიდა, სადაც ომარ ძოძუაშვილის მძლეველ გია ფოჩხუას (ორივე – თბილისი) დაუპირისპირდა. გადამწყვეტი პაექრობა საინტერესოდ და დრამატულად წარიმართა. ჯერ მახარაძე დაწინაურდა – 2:0, შემდეგ ფოჩხუა გავიდა წინ – 6:3, მაგრამ ნატანებელმა მონარდემ ბოლო მომენტში შეძლო ძალების მობილიზება, 7:6 გაიმარჯვა და ჩემპიონობა მოიპოვა. ბრინჯაოს მედალი უბრძოლველად ერგო ომარ ძოძუაშვილს, რომელსაც მეტოქე არ გამოუცხადდა. პირველ-მესამე ადგილებზე გასულნი შესაბამისი ხარისხის მედლებით, თასებით, ნარდებითა და ფულადი პრიზებით დაჯილდოვდნენ.

**ქართლოს დიასამიძე:** საკმაოდ წარმატებული ღონისძიება გამოგვივიდა. სამი თვე გრძელდებოდა ქვეყნის ქალაქებსა და რაიონებში ადგილობრივი პირველობები. საუკეთესოებმა საქართველოს ჩემპიონატში მოიყარეს თავი. დაძაბული პაექრობების მოწმე გავხდით. მოსახლეობაში ნარდისადმი ისეთი დაინტერესება ვიგრძენით, რომ მომავალშიც აუცილებლად გავმართავთ მსგავს შეჯიბრებებს, რომლებიც უფრო მასობრივი და სანახაობრივად მიმზიდველი იქნება.

**თემურ ქურციკიძე:** ჩემპიონებსა და პრიზიორებს ვულოცავ წარმატებას. დიდი მადლობა ყველას, ვინც ჩვენს პროექტში აქტიური მონაწილეობა მიიღო. რომ არა კომპანია „ლიდერბეთი", ასეთი მასშტაბური ღონისძიების გამართვას ვერ შევძლებდით. ჩვენი თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება და ნარდის მოყვარულებს საინტერესო ღონისძიებებს შევთავაზებთ.

აღსანიშნავია, რომ „ლიდებრეთის" თანადგომით ოზურგეთში თამაზ სალუქვაძის თავკაცობით უკვე გაიხსნა ნარდის ასოციაციის გურიის რეგიონული ოფისი, რომელიც აქტიურად შეუდგა მოღვაწეობას და შედეგიც სახეზეა. უახლოეს მომავალში, ასევე დასახელებული კომპანიის ძალისხმევით, ანალოგიურ საჩუქარს ვპირდებით ფოთელებს, ბორჯომელებსა და ქობულეთელებს, ხოლო წლის ბოლომდე – სრულიად საქართველოს.

რაც შეეხება ჩემპიონს, სიურპრიზის სახით მინდა ვაუწყო, რომ იგი საქართველოს ნარდის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტად ავირჩიეთ. გამცნობთ აგრეთვე, რომ 26-29 თებერვალს ბატონ ავთანდილ მახარაძეს დებიუტი ექნება საერთაშორისო ასპარეზზე – იგი სტამბოლში მსოფლიო თასის ერთ-ერთ ეტაპზე ითამაშებს.

**ავთანდილ მახარაძე:** ამ ხნის კაცი მოვიყარე და უშრომლად ერთი დღეც არ მიცხოვრია. სახლ-კარს ვუვლი, ციტრუსებს ვუვლი, მარა ნარდიზაც ვიცლი. ახალგაზრდობისას ფრენბურთელი ვიყავი. უფალმა ნათელში ამყოფოს ჩვენი ყოფილი კოლმეურნეობის თავმჯდომარე გივი წითლიძე – ძალიან უყვარდა სპორტი, სხვადასხვა სახეობაში ისეთი გუნდები გვყავდა, რაიონის პირველობას არავის ვუთმობდით. ასე იყო ფრენბურთშიც. მახსოვს, ერთხელ თავისუფალ ჭიდაობაშიც გავხდი რაიონის ჩემპიონი. ჭაბუკობისას არ მიცდია და აგერ ახლა, ამ სიბერეში არ მოვიპოვე საქართველოს ჩემპიონობა?! ვერ წარმოიდგენთ, როგორ გაუხარდებათ ჩემს შვილიშვილებსა და მეზობლებს. დიდი მადლობა საქართველოს ნარდის ასოციაციისა და „ლიდერბეთის" ხელმძღვანელებს ასეთი ლამაზი შეჯიბრებისთვის.

**ლექსო ცინცაძე.**







**სურათებზე: ქართლოს დიასამიძე აჯილდოებს ავთანდილ მახარაძეს; ჩემპიონი და პრიზიორები: მარცხნიდან – გია ფოჩხუა, ავთანდილ მახარაძე, ომარ ძოძუაშვილი; შეჯიბრების მომენტი.**

ვაჟა დანელიას ფოტოები

◉ სანახაობა

# ბერამ ALL STAR-ს სხვა ხიბლი მისცა



**ახალმა სპორტის სასახლემ ქართულ ყველა ვარსკვლავის მატჩს უმასპინძლა, რომელიც სუპერლიგის კალათბურთელებით იყო დაკომპლექტებული. სპორტსმენები გამოკითხვის შედეგად შეირჩნენ და ორ გუნდში გადანაწილდნენ.** ისინი თბილისის და რეგიონის სახელით გამოვიდნენ. აქედან გამომდინარე, პირველ გუნდში თბილისის, ხოლო მეორეში რეგიონის კლუბების კალათბურთელები თამაშობდნენ. ორივე გუნდის სასტარტო ხუთეული გამოკითხვის შედეგად შეირჩა, ხოლო სათადარიგოები მწვრთნელებმა დაასახელეს.

თამაში ისე დაიწყო, როგორც All Star-ს ახასიათებს. კალათბურთელები მოედანზე თავისუფლად მოქმედებდნენ და ცდილობდნენ ბურთი კალათში ეფექტური კომბინაციების შემდეგ მოეთავსებინათ. ამით შეიძლება აიხსნას, რომ ქულათა საერთო ჯამმა 270-ს მიაღწია. მთელი შეხვედრის განმავლობაში ლიდერობდა რეგიონელთა გუნდი, რომელმაც დამაჯერებელი ანგარიშით მოიგო – 148:122 (30:43, 36:47, 32:20, 24:38).

All Star-ის მსვლელობისას გამოყენებული იყო შოუს ელემენტები. კონკრეტულად, ბერა ივანიშვილმა გულშემატკივრებისათვის თავის ჯგუფთან ერთად რამდენიმე სიმღერა შეასრულა, თუმცა, დარბაზის ცუდი აკუსტიკის გამო მის მიერ შესრულებულმა სიმღერებმა ნაწილობრივ მიაღწია მსმენელამდე. ასევე გაურკვევლად ისმოდა წამყვანის ხმაც.

შეხვედრის დროს გამოცხადებული შესვენებებისას ჩატარდა სამქულიანებისა და ჩატენვების კონკურსი . სამქულიანების სროლაში ექვსი სპორტსმენი მონაწილეობდა. ფინალში ასპარეზობის უფლება აკაკი ლომოურმა და გიგი ბარბაქაძემ მოიპოვეს, რომლებმაც ყველაზე მეტი, შესაბამისად 20 და 16 ქულა დააგროვეს. უაღრესად დაძაბული გამოდგა ფინალური შეხვედრა. პირველმა ცდამ გამარჯვებული ვერ გამოავლინა, რადგან თითოეულმა 16-16 ქულა მოაგროვა. გამარჯვებულის ვინაობა მეორე ცდის შემდეგ გაირკვა. ამჯერად ლომოურმა 19, ხოლო ბარბაქაძემ 15 ქულა დააგროვა. ამრიგად, ლომოურმა ზედიზედ მეორედ შეძლო All Star-ში სამქულიანების კონკურსის მოგება.



რაც შეეხება ჩატენვების კონკურსს, მასში სამი სპორტსმენი მონაწილეობდა. შეფასებას სპეციალური კომისია აძლევდა, რომლის შემადგენლობაშიც ვეტერანი კალათბურთელები ნოდარ ქორქია, კახა შენგელია, ვლადიმერ ბოისა, გია სანაძე და პაატა გურასპაული შევიდნენ. ბარბაქაძის გამოსვლაში ბერაც მონაწილეობდა. იგი სკამზე იჯდა და ფარისაკენ მიმავალ ბარბაქაძეს ბურთს აწვდიდა. რამდენიმე ცდა უშედეგო გამოდგა. ბოლო ცდაზე ბარბაქაძემ შთამბეჭდავი ჩატენვა განახორციელა, რომელსაც კომისიამ ყველაზე მაღალი შეფასება მისცა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩატენვების კონკურსი გიგი ბარბაქაძის გამარჯვებით დასრულდა, რომელიც პარალელურად მატჩის MVP ანუ საუკეთესო მოთამაშე გახდა (31 ქულა).

**ვიტალი ჯაფარიძე**

◉ ახალი სისხლი

# გამოწვევას ამას ჰქვია

**საქართველოს რაგბის კავშირს მომდევნო 4 წლის განმავლობაში ძველი მორაგბე, პროფესიით ადვოკატი გოჩა სვანიძე უხელმძღვანელებს. ეს სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტში" გამართულ სრკ-ის საერთო კრებაზე გახდა ცნობილი, სადაც საპრეზიდენტო არჩევნებიც შედგა. გოჩა სვანიძემ 35 ხმა მიიღო და კონკურენტ ილია ზედგინიძეს 3 ხმით აჯობა.**



**გზა დაელოცოს „ბორჯღალოსანთა" ახალ თავკაცს!**

◉ ძიუდო

# „ბრინჯაოს", სალიცენზიო ქულების

**პუბაში გამართულ ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირზე წარმატებით იჭიდავა ვაჟა მარგველაშვილმა (66 კგ). ქვეჯგუფში მან კუბელი ჟილბერტო სოლარი და ალჟირელი ჰოუდ ზოურდანი დაამარცხა.** ეს გამარჯვებები ორმაგად სასიამოვნოა, რადგან როგორც მასპინძელი, ისე აფრიკელი 22-კაციან სალიცენზიო ზონაში არიან და მარგველაშვილს უწევენ კონკურენციას. მესამე წრეში ჩვენებურმა ესპანელ მსოფლიოს ვიცე და ევროპის ჩემპიონ სუგოი ურიარტეს გაფრთხილებით მოუგო, თუმცა, ნახევარფინალში ფრანგთა ევროპის ჩემპიონსა და მსოფლიოს პრიზიორ ლოიკ კორვალთან ვერაფერს გახდა. სამაგიეროდ, მესამე ადგილისთვის პაექრობაში გერმანელი სებასტიან საიდლი დაჯაბნა – 3:1. ბრინჯაოს მედალთან ერთად მარგველაშვილმა სალიცენზიო 120 ქულა დაიმსახურა, მსოფლიოს რეიტინგში 522 ქულას მოუყარა თავი და, ფაქტობრივად, რიო დე ჟანეიროს ოლიმპიადის ლიცენზია გაინაღდა.



**66 კგ.** 1. კამალ ხან-მაგომედოვი (რუსეთი), 2. ლოიკ კორვალი (საფრანგეთი), 3. ვაჟა მარგველაშვილი (საქართველო), ელიო ვერდე (იტალია).

**თამაზ პატარაია.**

◎ გრიპის ეპიდემიის დრო

# გაცივება უძახეთ თქვენ!..

**გრიპიც და გაციებაც, ორივე, ზედა სასუნთქი გზების ვირუსული დაავადებებია, რომლებიც მათ ლორწოვან გარსს აზიანებენ. ორივე დაავადება მაღალი სიცხით, სურდოთ, ყელის ტკივილითა და ხველებით ვლინდება.**

გრიპს იწვევს A, B და C ტიპის ვირუსები, რომელთა შტამები გამუდმებით იცვლება. ამიტომაცაა, რომ თუ კაცს გრიპი ერთხელ შეეყარა, შემდეგი ეპიდემიის დროს იგი შესაძლოა მისი სხვა ქვეტიპით დაავადდეს.

**A ტიპის** ვირუსები მძიმე ეპიდემიებისა და პანდემებს იწვევენ, B ტიპის ვირუსები პანდემიებს არ იწვევენ, მაგრამ, ჩვეულებრივ, ავადმყოფობის გარკვეულ არეალებში წარმოშობის მიზეზს წარმოადგენენ.

**B ტიპის** ვირუსები მხოლოდ ადამიანებში ტრიალებენ (განსხვავებით A ტიპის ვირუსებისაგან, რომლებიც ზოგიერთი ცხოველის დაავადების მიზეზი ხდებიან) და უფრო ხშირად ბავშვებს აავადებენ.

**C ტიპის** ვირუსი ჯერჯერობით ნაკლებადაა შესწავლილი. ის, რასაც ყოველდღიურ ყოფაში „გაციებას" ვეძახით, სინამდვილეში მწვავე რესპირატორული ვირუსული დაავადებებია (მრვდ), რომლებსაც ვირუსების უმრავლესობა იწვევს – მეცნიერები მათ 200-ზე მეტ სახეობას ითვლიან. მათ შორის ყველაზე გავრცელებულია პარაგრიპი, ადენოვირუსები, რავინოვირუსები, სხვები.

დახურულ ოთახში გრიპისა და მრვდ-ვირუსები ავადმყოფი ადამიანიდან 7 მეტრზე ვრცელდება და იქაურ ჰაერში 2-დან 9 საათამდე ცოცხლობენ, ხოლო მათი მაქსიმალური კონცენტრაცია ავადმყოფობის პირველი ორი დღის მანძილზე აღინიშნება.

**ინფორმაცია თემაში**

**სეზონური ეპიდემიების დროს გრიპი მთელ მსოფლიოში სწრაფად ვრცელდება. ამ თვეებში დაავადებათა მძიმე ფორმების 3-დან 5 მილიონამდე შემთხვევა აღინიშნება, მათ შორის 250-დან 500 ათასამდე ავადმყოფის გარდაცვალებით მთავრდება. ლეტალური შედეგი უმეტესად 65 წელს გადაცილებულ პირებზე მოდის. გრიპის ყველაზე ცნობილი პანდემია –„ესპანურა" – 1918-1920 წლებში იყო და მას 40 მილიონი კაცი ემსხვერპლა.**



**გასათვალისწინებელია ისიც, რომ ვირუსული ინფექცია ორგანიზმში ყოველდღიური მოხმარების საგნებითაც – კარების სახელურებით, ჭურჭლით, პირსახოცებით და ა.შ. – შეიძლება მოხვდეს. გამოკვლევებით დადგინდა, რომ გრიპის ვირუსები ადამიანის ხელზე დაახლოებით 5 წუთი ცოცხლობენ. თუკი ამ დროის მანძილზე კაცი რომელიმე საგანს ხელს მოკიდებს, ისინი იქ გადავლენ და გაცილებით მეტ ხანს იცოცხლებენ: კერძოდ, ლითონსა და პლასტმასაზე ისინი 24-დან 48 საათამდე ცოცხლობენ, მინის ზედაპირზე კი 10 დღე-ღამეს!**

ბრიტანელმა ექიმებმა გამოითვალეს, რომ **ავადმყოფი ბავშვი ცხვირს, თვალებსა და პირს დღე-ღამეში ხელით დაახლოებით 300-ჯერ ეხება, ვირუსები ყველა საგანზე გადააქვს, რომლებსაც ეხება!**

გრიპით დაავადებული გადამდებია ავადმყოფობის დაწყებიდან 3-4 დღის განმავლობაში, მე-5-მე-7 დღეების შემდეგ კი იგი გარშემო მყოფთათვის სახიფათო აღარ არის. სტატისტიკის თანახმად, ერთი გრიპით სნეული კაცი, საშუალოდ, ხუთ კაცს აავადებს.

**ამიტომ, როცა ოჯახში გრიპით დაავადებული კაცია:** 1. ატარეთ ნიღაბი (გაიხსენეთ, თუ რამდენად დიდ ხანს ცოცხლობენ ვირუსები ჰაერში); 2. რაც შეიძლება ხშირად გაანიავეთ ოთახი; 3. ცხვირში გამოისვით ოქსოლინის საცხი; 4. დღეში რამდენჯერმე კარების სახელურები მადეზინფიქცირებელი ხსნარებით გაწმინდეთ; 5. ავადმყოფს ცალკე ჭურჭელი და პირსახოცი გამოუყავით; 6. ძილის წინ პირი კალენდულას ან ევკალიპტის ხსნარით გამოივლეთ; 7. პროფილაქტიკის მიზნით მიიღეთ ვირუსის საწინააღმდეგო პრეპარატები.

აღსანიშნავია, ისიც, რომ **გაცივებისგან გრიპის გამორჩევა ავადმყოფობის დაწყებით შეიძლება.** იგი კაცს უმალვე უტევს: ეწყება მკვეთრი თავის ტკივილი, თვალების წვა, სახსრების ტეხვა, ციება, ოფლიანობა, სინათლის შიში. სხეულის ტემპერატურა მკვეთრად, 39-40 გრადუსამდე იწევს, და შესაძლოა, 3-4 დღის მანძილზე შენარჩუნდეს. ამ დროს ენა სივდება, აღინიშნება მადის უქონლობა და კუჭის უმოქმედობა. მძიმე შემთხვევაში შესაძლოა უძილობა, პირღებინება, გულის წასვლა, ბოდვა, კრუნჩხვა, გონების დაკარგვა.

სურდო, ხველა და გაცივების სხვა ნიშნები მოგვიანებით ვლინდება, მას შემდეგ, რაც სიცხე დაიკლებს. სისუსტე მეტად დიდ ხანს გრძელდება.

გაცივება კი თანდათანობით ვლინდება: თავდაპირველად ყელის ხიცინი იწყება, თუმცა კი კაცი ჯერ კიდევ დარწმუნებული არ არის – ავად ხდება თუ არა. ორიოდე დღეში ეწყება სურდო, ცხვირის ცემინება, მერე იწყება ხველა. ტემპერატურა შედარებით მცირედით – 37,5-38 გრადუსამდე იწევს.

გრიპი სახიფათოა გართულებებით. მათ შორის ყველაზე მძიმეებია პნევმონია, მენინგიტი და მენინგოენტეფალიტი, რომლებსაც, ზოგჯერ, თანამედროვე მედიცინაც ვერ შველის.

გართულებები გაცივებასაც მოყვება, ოღონდ უფრო იშვიათად და გაცილებით მსუბუქი ფორმებით, თუმცა, ცხადია, არც ისინია სასიამოვნო.

**გრიპის მკურნალობა საჭიროა ექიმის ზედამხედველობის ქვეშ! ის უნდა მოიცავდეს:**

● ავადმყოფობის პირველ 24-38 საათის განმავლობაში ანტივირუსული პრეპარატების მიღებას. როცა ვირუსი ორგანიზმში გამჯდარია, წამალი მასზე აღარ მოქმედებს;

● სიმპტომატურ მკურნალობას, ანუ ტკივილგამაყუჩებელი და სიცხის დამწევი პრეპარატების მიღებას – ისინი ვირუსებზე არ მოქმედებენ, თუმცა კი ავადმყოფის მდგომარეობას აუმჯობესებენ;

● დიდი ოდენობით სითხის მიღებას, რადგან მაღალი სიცხის დროს სუნთქვისა და ოფლიანობის დროს ბევრი სითხე იკარგება;

● წოლითი რეჟიმის დაცვას – ეს მეტად მნიშვნელოვანია მაღალი სიცხის დროს, თანაც ამ პირობის დაუცველობას, შესაძლოა, გართულებები მოყვეს.

**გაცივების, მკურნალობა კი მოიცავს:**

● ანტივირუსული პრეპარატების მიღებას (თუკი გაცივების ნიშნები ძლიერია);

● სიმპტომატურ მკურნალობას (ტკივილგამაყუჩებელი და სიცხის დამწევი პრეპარატების მიღებას, პირის ღრუს გამოვლებას, ინგალაციას, სისხლძარღვთა შემვიწროებელი წვეთებისა და სპრეების მოხმარებას, რომლებიც სურდოს შველის, ხველების საწინააღმდეგო მიქსტურებისა და ნახარშების სმას);

● დიდი ოდენობით სითხის მიღებას, მათ შორის ლიმონიანი ჩაის, მინერალური წყლის, წვენების;

● სახლის რეჟიმის დაცვას – გაცივების პირველსავე დღიდან ბიულეტენზე გასვლაა საჭირო, რითაც თავსაც მოუფრთხილდებით და სხვებსაც ხიფათს აარიდებთ.

მოამზადა

**დალი ხუნდაძემ**

დევნილი მწერლის ეპიტაფია

# გული აფხაზეთით ჰქონდა სავსე

## ნოდარ ხუნდაძის ხსოვნას



მწერალთა დიდ ოჯახს გამოაკლდა ცნობილი ქართველი პროზაიკოსი და პოეტი, საქართველოს მწერალთა კავშირისა და ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, გ.შარვაშიძის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი **ნოდარ ხუნდაძე**.

ნ.ხუნდაძე დაიბადა 1929 წლის 22 მაისს გაგრის რაიონის სოფელ კოლხიდაში. 1947 წელს, საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე, ჩაირიცხა სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე. 1951 წ. ინსტიტუტის წარმატებით დამთავრების შემდეგ, დაინიშნა ქ. გაგრის პირველი საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად; მოგვიანებით პედაგოგიური საქმიანობა ბზიფის საშუალო სკოლაში გააგრძელა. სწორედ ამ პერიოდში მოგვევლინა იგი, როგორც ნიჭიერი პროზაიკოსი, პოეტი და პუბლიცისტი.

1967 წელს ნ. ხუნდაძე დანიშნეს გაგრის საქალაქო გაზეთის – „ავანგარდის" რედაქტორის მოადგილის თანამდებობაზე, სადაც მან ოცი წელიწადი იღვაწა; 1987 წლიდან მუშაობდა ჟურნალ „ნიანგის" კორესპონდენტად აფხაზეთში, ქართულ-აფხაზური ურთიერთობების დაძაბვისა და აფხაზეთში განვითარებული ცნობილი მოვლენების შემდეგ, ნ. ხუნდაძე, ოჯახთან ერთად, საცხოვრებლად თბილისში გადმოვიდა და დევნილობაში დალია სული.

განსაკუთრებულია ნ. ხუნდაძის დამსახურება თანამედროვე ქართული მხატვრული სიტყვიერების განვითარების საქმეში. მისმა მაღალმხატვრულმა და მრავალფეროვანმა ლიტერატურულმა მემკვიდრეობამ იმთავითვე მიიპყრო მკითხველთა ფართო წრის ყურადღება; მწერლის არაერთი პროზაული თუ პოეტური ნაწარმოები სამაგიდო წიგნებად იქცა.

ნოდარ ხუნდაძის დაუდგრომელი შემოქმედებითი ცხოვრება მისი მრავალრიცხოვანი ლიტერატურული ნაწარმოების სახით გამოიხატა; 1978-1990 წლებში მწერალმა გამოაქვეყნა ოთხი რომანი – „უკუქცევა", „ბზარი", „ჟამი მთვარის მოქცევისა", „ცისარტყელას დაბადება"; მასვე ეკუთვნის პროზაული („ნიჟარა", „მღვიმე", „წუთისოფელი ასეა", „წყნარი ზღვა", „მირგოროდის ღამეები", „ლაბირინთი", „უბადრაგო ტყვე") და პოეტური („აფხაზეთია ჩვენი ტკივილი", „ტკივილიანი სონეტები", „ტკივილი, ისევ ტკივილი", „ლირიკა") კრებულები.

გარდა ორიგინალური მხატვრული შემოქმედებისა, ნ. ხუნდაძე ნაყოფიერ მთარგმნელობით საქმიანობასაც ეწეოდა; თარგმნილი და გამოქვეყნებული აქვს იცხოკას მერასის ორი რომანი: „რას ემყარება ქვეყნიერება" და „მუდმივი ქიში", ს. სარტაკოვის „ყინულის განძი" და „ბარბინის მოთხრობები", „ტყვიის წინაშე", მ.ალექსეევის „უცრემლო ძეწნა" (ორ წიგნად), მ. ასტურიასის „დამარხულთა თვალები", დ. გრანინის „მაძიებელნი".

ნ.ხუნდაძის შემოქმედება თარგმნილია რამდენიმე ენაზე: 1976 წ. „სოვეტსკი პისატელმა" გამოსცა მისი მოთხრობების კრებული „მთის ღამე", 1985 წელს – „მირგოროდის ღამეები" და „უკუქცევა"; 1980 წელს კიევის გამომცემლობა „დნიპრომ" გამოაქვეყნა მოთხრობების კრებული „მირგოროდის ღამეები", ხოლო გამომცემლობა „მოლოდმა" – რომანი „უკუქცევა".

ნ. ხუნდაძე, როგორც სახელმწიფოებრივად მოაზროვნე და ღრმა ეროვნული პიროვნება, მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლის მანძილზე აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა; ამასთან იგი იყო ცნობილი ქართველი (და არა მარტო ქართველი) მწერლების დაუღალავი და გულუხვი მასპინძელი აფხაზეთში, რომელიც მას გამორჩეულად უყვარდა და ტკიოდა. ამ ტკივილით განეშორა იგი წუთისოფელს.

ნოდარ ხუნდაძე, როგორც მწერალი და საზოგადო მოღვაწე, როგორც გულმხურვალე მამულიშვილი და მეგობარი, დაუვიწყარი იქნება ჩვენთვის და მრავალი ქართველისთვის.

**აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭო,**
**აფხაზეთის ა/რ მთავრობა,**
**აფხაზეთის ლიტერატურისა და ხელოვნების შემოქმედებითი კავშირი.**

**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის საზოგადოების ღირსეული წარმომადგენელი, ღვაწლმოსილი მამულიშვილი, ცნობილი პოეტი და პროზაიკოსი, მრავალი წიგნის ავტორი, მთარგმნელი, ქ. გაგრის გაზეთ „ავანგარდის" რედაქტორის ყოფილი მოადგილე, გ. შარვაშიძის სახელობის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოსა და აფხაზეთის მწერალთა კავშირის წევრი, ღირსების ორდენის კავალერი, აკადემიების „ფაზისისა" და „ქალდეას" წევრი, აქტიური საზოგადო მოღვაწე**

**ნოდარ ხუნდაძე**

**და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

**იური ოსიპოვი, გურამ ჯაიანი, გივი ცაგარელი, აჩიკო გოგელია ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ გიორგი და ლალი ცირეკიძეებს დედის**

**ლამარა შენგელიას**

**გარდაცვალების გამო.**

**მეუღლე ნორა, შვილი დემნა ხელაია, რძალი ნაირა ქურხული, შვილიშვილი თამარ ხელაია, სიძე ზვიად ფოჩხუა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**გალაქტიონ კონსტანტინეს ძე ხელაია**

**დაკრძალვა 26 I, 14 სთ. ჩხოროწყუს რაიონი, სოფელი მუხური.**

## ზურაბ მგელაძის ხსოვნას

# პიროვნება, მეცნიერი, მოღვაწე



უდიდესი დანაკლისი განიცადა საქართველოს სამეცნიერო საზოგადოებამ, გარდაიცვალა ქართული ინტელიგენციის ერთ-ერთი ღირსეული და თვალსაჩინო წარმომადგენელი, სახელოვანი მამულიშვილი და გეოლოგთა და ენერგეტიკოსთა თაობის აღმზრდელი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის აკადემიკოსი **ზურაბ მგელაძე**.

ზურაბ მგელაძემ 1957 წელს დაამთავრა საქართველოს ტექნიკური ინსტიტუტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი სამთო ინჟინერ-გეოლოგის კვალიფიკაციით და დაინიშნა „საქნავთობის" სისტემაში კოლექტორის თანამდებობაზე. შემდეგ საქმიანობდა საცხენისისა და პატარძეულის ნავთობის საბადოებზე გეოლოგად. როგორც თეორიული ცოდნით გამორჩეული მუშაკი, 1960-63 წლებში სწავლას აგრძელებს ასპირანტურაში. 1963-87 წლებში მისი მოღვაწეობის ძირითადი მიმართულება საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სტუდენტების აღზრდას უკავშირებდა. ამ პერიოდში იგი მუშაობდა ასისტენტის, უფროსი მასწავლებლისა და დოცენტის თანამდებობებზე. 1987-91 წლებში იგი ნავთობისა და გაზის საბადოების ძიებისა და დამუშავების კათედრის გამგეა, 1991-1992 წლებში გეოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, ხოლო 1992-2005 წლებში სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის დეკანი.

1967-97 წლებში მუშაობდა „საქართველოს საერთაშორისო ნავთობის კორპორაციის ვიცე-პრეზიდენტად, ქართულ-თურქული შპს „გეოტექსის" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარედ. 1997-99 წლებში „საქნავთობის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრია. 1997-2000 წლებში „საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტოს" უფროსის მოადგილე. 2000-2006 წლებში „ანადარკო ჯორჯიან კომპანის" მთავარი მრჩეველი. 2007 წლიდან შპს „სტრეიტ ოილ ენდ გეს"-ში კომპანიის მთავარი მრჩეველია.

გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატია 1972 წლიდან, ხოლო გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი და პროფესორი 1992 წლიდან. ბატონი ზურაბის სამეცნიერო კვლევის ძირითად მიმართულებას წარმოადგენდა საქართველოს მეზოკაინოზოური ნალექების ნავთობგაზიანობის პერსპექტიულობის შეფასება, საქართველოს სანალექ საფარში ნახშირწყალბადების წარმოშობის, მათი დაგროვების კანონზომიერებანი, რიგი რაიონების სტრატიგრაფია, ზედაპირული და სიღრმული ტექტონიკური აგებულება. მისი ხელმძღვანელობით საქართველოს ტერიტორიაზე გამოყოფილია ლოკალური და რეგიონული ნავთობგაზშემცველელი კომპლექსები, შედგენილია „საქართველოს ტერიტორიის ნავთობისა და გაზის საბადოების პერსპექტიული სტრუქტურებისა და ნავთობგაზგეოლოგიური დარაიონების რუკა".

ბატონი ზურაბი 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია. მათ შორის 4 მონოგრაფიისა და 4 გამოგონების. ერთ გამოგონებას მინიჭებული აქვს პატენტი, ორს საავტორო მოწმობა. მიღებული აქვს მონაწილეობა მრავალ საერთაშორისო სიმპოზიუმებსა და კონფერენციებში. არის რესურსების საერთაშორისო, რუსეთის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა, ენერგეტიკისა და ეროვნული აკადემიების აკადემიკოსი, საერთაშორისო გეოთერმული, მსოფლიოს „მათემატიკური გეოლოგიის", ამერიკის მენავთობე გეოლოგთა ასოციაციების წევრი, საქართველოს ნავთობისა და გაზის მრეწველობის კავშირის თავმჯდომარე, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო ფონდის საქართველოს ნავთობისა და გაზის პერსპექტიულობის კომპიუტერული მოდელირების და მონიტორინგის პროექტის დროებითი კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი. სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალის „საქართველოს ნავთობი და გაზი" სარედაქციო კოლეგიის წევრი. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით და გიორგი ნიკოლაძის სახელობის მედლით. მინიჭებული ჰქონდა რუსეთის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის „მეცნიერებისა და ხელოვნების რაინდის" საპატიო წოდება და ნიშანი, რომელზეც ამოტვიფრულია სიტყვები „გონიერება, სიმამაცე, ღირსება".

ბატონი ზურაბის მრავალ დადებით თვისებათა შორის უდავოდ გამოსაყოფია მისი უნარი, გამოენახა დრო ყველასთვის, ვისაც მისი დახმარება თუ რჩევა-დარიგება ესაჭიროებოდა. ბატონი ზურაბი გახლდათ უაღრესად გამორჩეული, მრავალი დადებითი თვისების მატარებელი პიროვნება. მართალია, მან ძალზე რთული გზა განვლო, მაგრამ მისი ბიოგრაფია მხოლოდ ჭეშმარიტი მამულიშვილობით გამოირჩეოდა.

უკეთილშობილეს პიროვნებას, საუკეთესო მეგობარს, დიდ მეცნიერსა და მოღვაწეს არასდროს დაივიწყებენ მისი მეგობრები, კოლეგები და მოწაფეები.

**რევაზ არველაძე,**
**საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის პრეზიდენტი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;**

**რევაზ თევზაძე,**
**საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრი, საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის პრეზიდიუმის წევრი, სოციალისტური შრომის გმირი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.**

გარდაიცვალა პროფესორი **ზურაბ მგელაძე**, წავიდა ჩვენგან ქართული ინტელიგენციის ერთ-ერთი ღირსეული და თვალსაჩინო წარმომადგენელი, სახელოვანი მამულიშვილი, გეოლოგთა და ენერგეტიკოსთა მრავალი თაობის ამაგდარი აღმზრდელი, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, მინერალური რესურსების საერთაშორისო აკადემიის, რუსეთის საბუნებისმეტყველო აკადემიის, საქართველოს ეკოლოგიის, ენერგეტიკის და ეროვნული აკადემიების აკადემიკოსი ზურაბ მგელაძე. იგი იყო საერთაშორისო გეოთერმული, მსოფლიოს „მათემატიკური გეოლოგიის" და ამერიკის მენავთობე გეოლოგთა ასოციაციების წევრი, საქართველოს ნავთობისა და გაზის მრეწველთა კავშირის თავმჯდომარე, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო ფონდის, საქართველოს ნავთობისა და გაზის პერსპექტიულობის კომპიუტერული მოდელირების და მონიტორინგის პროექტის დროებითი კომისიის თავმჯდომარე, ჟურნალ „საქართველოს ნავთობი და გაზი" სამეცნიერო საბჭოს და სარედაქციო კოლეგიის წევრი.

## ზურაბ მგელაძე



ზურაბ მგელაძე დაიბადა 1933 წლის 20 დეკემბერს თბილისში. მან 1952 წელს დაამთავრა თბილისის პირველი საშუალო სკოლა და ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო-გეოლოგიურ ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1957 წელს სამთო ინჟინერ-გეოლოგის კვალიფიკაციით. 1960-1963 წლებში ზ. მგელაძემ გაიარა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ნავთობისა და გაზის საბადოების ძიების, ბურღვის და დამუშავების კათედრის ასპირანტურა.

ზ. მგელაძემ 1972 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო 1992 წელს სადოქტორო დისერტაცია — ქ. ბაქოში. იმავე წელს მას მიენიჭა პროფესორის წოდება. იგი 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, მათ შორის, 4 მონოგრაფია და 4 გამოგონებაა. ზ. მგელაძის სადოქტორო დისერტაცია ითარგმნა და გამოიცა ინგლისურ ენაზე. ზ. მგელაძის სამეცნიერო-კვლევითი სფერო უმთავრესად მოიცავს ნავთობისა და გაზის გეოლოგიას, კერძოდ, საქართველოს მეზო-კაინოზოური ნალექების ნავთობგაზიანობის პერსპექტიულობის კვლევას, დანალექ საფარში ნახშირწყალბადების წარმოშობას, მათი დაგროვების კანონზომიერებებს, საკვლევი რაიონების სტრატიგრაფიის საკითხებს, ზედაპირულ და სიღრმულ ტექტონიკურ აგებულებას, ნავთობგაზშემცველი სტრუქტურების რეგიონული და ლოკალური კომპლექსების გამოყოფას, საქართველოს ტერიტორიის ნავთობისა და გაზის საბადოების ნავთობგაზგეოლოგიური დარაიონების რუკების შედგენას და სხვა. ზ. მგელაძის ხელმძღვანელობით მომზადებული და დაცულია მრავალი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია. მის მიერ წაკითხული ლექციების სხვადასხვა კურსები ყოველთვის იზიდავდა აუდიტორიას. იგი იყო მრავალი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მონაწილე. ზ. მგელაძის ნაშრომებიდან მკითხველის განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო მონოგრაფიებმა: „ლეგენდა და სინამდვილე ნავთობზე", „ნავთობი: მიღწევები, პრობლემები, პერსპექტივები". ზურაბ მგელაძის ხანგრძლივი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა წარუშლელი შედეგებითაა ასახული საქართველოს ნავთობისა და გაზის საბადოების ძიების, დამუშავების და ექსპლუატაციის თანამედროვე პრაქტიკაში.

ზ. მგელაძე სპი-ის დამთავრებისთანავე აქტიურად ჩაერთო საქართველოს ნავთობისა და გაზის სამეცნიერო-კვლევით და მოპოვება-დამუშავების პრაქტიკულ საქმიანობაში. მან გაიარა პრაგმატული მეცნიერებისათვის დამახასიათებელი დიდი და სირთულეებით აღსავსე გზა. 1958 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე, სხვადასხვა დროს ზურაბ მგელაძეს ეკავა თანამდებობები როგორც საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში: კათედრის ასისტენტი, უფროსი მასწავლებელი, დოცენტი, პროფესორი, ნავთობისა და გაზის საბადოების ძიებისა და დამუშავების კათედრის გამგე, სამთო-გეოლოგიური სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის დირექტორი, სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, ასევე, მის გარეთ „საქნავთობი" — კოლექტორი; „საქართველოს საერთაშორისო ნავთობის კორპორაცია" — ვიცეპრეზიდენტი; ქართულ-თურქული ერთობლივი შპს „გეოტექსი" — დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე; ეროვნული კომპანია „საქნავთობი" — სამეთვალყურეო საბჭოს წევრი; „საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტო" — უფროსის მოადგილე სამეცნიერო-ტექნიკურ დარგში; „ანადარკო-ჯორჯიან კომპანი" — მთავარი მრჩეველი გეოლოგიისა და ძიების დარგში; შპს „სტრეიტ ოილ ენდ გეს" — მთავარი მრჩეველი გეოლოგიისა და ძიების დარგში.

ცნობილმა ხატოვანმა გამოთქმამ — მეცნიერებას ეროვნება არ გააჩნია — ბატონი ზურაბის შემთხვევაში ახალი ელფერი შეიძინა. მეცნიერული კვლევისას იგი წუთითაც არ ივიწყებდა კვლევის შედეგების პერსპექტივებს და მათ „ნათლავდა" ქართული ტოპონიმებით, ბატონი ზურაბის ინიციატივით შავი ზღვის სანაპიროზე საძიებო სამუშაოების შედეგად გამოყოფილ პერსპექტიულ უბნებს ეწოდა „ეგრისი", „კოლხეთი", „იბერია", „ლაზიკა".

ზ. მგელაძის სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობა არაერთი სამთავრობო ჯილდოთია აღნიშნული: საქართველოს ღისრების ორდენი (1978 წ.); რუსეთის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის საპატიო ნიშანი და აკადემიის საიუბილეო ვერცხლის მედალი (2003წ); გიორგი ნიკოლაძის სახელობის მედალი (2008 წ.); რუსეთის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის „მეცნიერებისა და ხელოვნების რაინდის" საპატიო წოდება და ორდენი (2010 წ.).

ბატონი ზურაბის გარდაცვალება დიდი დანაკლისია არა მარტო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის, არამედ მთელი ქართული მეცნიერებისა და საზოგადოებისთვის. წავიდა ქართველი ინტელიგენციის კოლორიტული პიროვნება, სულიერად მდიდარი, ფიზიკურად სრულყოფილი და სიყვარულის დიდი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი. ბატონი ზურაბის გარდაცვალება დიდი დანაკლისია მისი ოჯახისთვის, მეგობრებისა და კოლეგების ფართო წრისთვის.

მარადიული ხსოვნა ბატონ ზურაბ მგელაძის სახელს!

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორატი, სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი, ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების დეპარტამენტი.**

---

**გურამ ქაშაკაშვილი რუსეთის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს განყოფილების გამგეობის წევრების სახელით იუწყება, რომ გარდაიცვალა სამთო მრეწველობის გამოჩენილი მოღვაწე, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, რუსეთის საბუნებისმეტყველო აკადემიის ნამდვილი წევრი, განყოფილების თავმჯდომარის მოადგილე, პროფესორი**

### ზურაბ ვიქტორის ძე მგელაძე

**და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.**

---

**გია მახარაძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა ნავთობის გეოლოგიის ღვაწლმოსილი მეცნიერი, საუკეთესო მეგობარი და მასწავლებელი, ბატონი**

### ზურაბ მგელაძე

**და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.**

---

**ყოფილი „საქნავთობის" თანამშრომლები რევაზ თევზაძე, გიორგი მახარაძე, გიორგი ბერაია, სოსო ღუდუშაური, გურამ ვარშალომიძე, ვახტანგ საყვარელიძე, ივანე ლობჟანიძე, ოთარ ჯაში, მამია ონიაშვილი, გურამ ზოდელავა, ნიკოლოზ თევზაძე, ირაკლი თავდუმაძე, უშანგი საგულაშვილი, ზურაბ ჩაკვეტაძე, ომარ ონიაშვილი, რევაზ სანაძე, ჯონი ხოხაშვილი, თამაზ ჩხიკვაძე, ავთანდილ ღონიაშვილი, ომარ ასათიანი, მამუკა ასათიანი, ზურაბ გერგედავა, თამაზ ლობჟანიძე, მურთაზ აბაიძე, აკო აბაიძე, ზურაბ ნაროუშვილი, ჯემალ ჯორბენაძე, დავით ჩიხლაძე, ჯუმბერ ჩიხლაძე, ალექსანდრე ჭიჭინაძე, ბექა ოდიშარია, ვაჟა ჩხობაძე, ალექსანდრე თაყაიშვილი, ჯემალ მძინარაშვილი, ვლადიმერ ლალიევი, ჯიმშერ ბაკურაძე, თეიმურაზ ებრალიძე, ზაზა მამულაიშვილი, ვახტანგ ღლონტი, თენგიზ რამიშვილი, მოსე ბოლქვაძე, თამაზ კვაჭაძე, დავით ვახანია, როლანდ ზირაქაძე, გურამ აფაქიძე, გურამ ბარბაქაძე, ვახტანგ ინასარიძე, თამაზ კერატიშვილი, ზურაბ სურამელაშვილი, არტიომ სანიშვილი, სოსო ცერცვაძე, ნოდარ მაისურაძე, გურამ მაისურაძე, მიშა დურგლიშვილი, გოგიტა დურგლიშვილი, ამირან მხატვარი, დათო ქამუშაძე დიდი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ყოფილი „საქნავთობის" შესანიშნავი კოლექტივის წევრი, ქართველ მენავთობე გეოლოგთა დიდი პლეადის ბრწყინვალე წარმომადგენელი, გამორჩეული პიროვნება, ბატონი**

### ზურაბ მგელაძე

**და სამძიმარს უცხადებენ ოჯახსა და მის ახლობლებს.**

---

**რევაზ თევზაძე, ზაზა, ნიკო თევზაძეები დიდი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ქართული ნავთობის გეოლოგიის ღვაწლმოსილი მეცნიერი და უკეთილშობილესი პიროვნება, ბატონი**

### ზურაბ მგელაძე

**დ სამძიმარს უცხადებენ მის მეუღლეს, ქალბატონ დოდოს და ოჯახის ახლობლებს.**

---

**დოდო, რევაზ არველაძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, ახლო მეგობრის ბატონ**

### ზურაბ მგელაძის

**გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახსა და მის ახლობლებს.**

---

**პროფესორ გივი მინდელის საზოგადოების წევრები რევაზ თევზაძე, თამაზ ცინცაძე, დემურ მიქაძე, დავით დათოშვილი, გაიოზ გალდავაძე, ბონდო ქობულია, მერაბ მახარაძე, ივიკო საყვარელიძე, გურამ ახრახაძე, თამაზ ყაჭეიშვილი, როლანდ იოსელიანი, ჯუმბერ გონაშვილი, გია მახარაძე დიდი მწუხარებით იუწყებიან ქართული ტექნიკური ინტელიგენციის ბრწყინვალე წარმომადგენლის და დიდებული პიროვნების, ბატონ**

### ზურაბ მგელაძის

**გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ ოჯახსა და მის ახლობლებს.**

# საქართველომ ეს შეძლო!

## რა პროექტები იგეგმება ლევილის მამულში და რა ეტაპზეა საქართველოსთვის მამულის გადმოცემის პროცედურა

**პარიზიდან დაახლოებით 30 კილომეტრში, სენას დეპარტამენტში მდებარეობს ლამაზი ფრანგული სოფელი ლევილ-სიურ-ორჟი, ანუ ლევილი. ლევილის მამული ქართველებისთვის ძვირფასია, ვინაიდან საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი მოვლენები სწორედ ამ სოფელთანაა დაკავშირებული.**

**ლევილის მამულის საქართველოსთვის გადმოცემის პროცედურა დიდი ხანია, მიმდინარეობს და ამ მხრივ საინტერესო სიახლეებიც არის. „რეპორტიორს“ საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საფრანგეთის რესპუბლიკაში ეკატერინე სირაძე-დელონე ესაუბრება.**



— მოლაპარაკებები ლევილის მამულის გადმოცემის პროცედურასთან დაკავშირებით დიდი ხანია, დაიწყო, მას შემდეგ, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა. ამ გზაზე ძალიან მნიშვნელოვანი რამდენიმე ეტაპის გავლა გახდა საჭირო.

ლევილის შატო შემოგარენი თავისი მიწით, გახლავთ კერძო საკუთრება. ის არის საქართველოს სახელმწიფო თანხით შეძენილი მამული, მაგრამ თავის დროზე რიგი მიზეზის გამო გაფორმდა, როგორც კერძო საკუთრება. თავიდან მამულს ჰყავდა 7 მფლობელი, დღეს იგი 5 ოჯახის მფლობელობაშია. მოგეხსენებათ საბჭოთა მმართველობის პერიოდში, საბჭოთა კავშირი პრეტენზიას აცხადებდა მის მიერ ოკუპირებული ქვეყნების — რესპუბლიკების კერძო საკუთრებებზე



მსოფლიოს მასშტაბით. შესაბამისად ის, რომ მამული გაფორმდა როგორც კერძო საკუთრება, შესაძლებლობა მისცა ამ კონკრეტულ საკუთრებას გადარჩენილიყო და არ გადასულიყო საბჭოთა კავშირის მფლობელობაში.

ნოე ჟორდანიას გარდაცვალების შემდეგ, დანარჩენმა მფლობელებმა გადაწყვიტეს, რომ მამული აუცილებლად გადმოეცემოდა საქართველოს, მას შემდეგ, რაც საქართველო მოიპოვებდა დამოუკიდებლობას, ამ ფაქტის დამადასტურებლად არსებობს მათი ანდერძიც, რომელსაც ხშირად სინდისის ანდერძსაც ვუწოდებთ.

როგორც უკვე მოგეხსენებათ, 2011 წელს მაისში ხელი მოეწერა მემორანდუმს, მამულის მფლობელ ოჯახებსა და საქართველოს მთავრობას შორის. ამ მემორანდუმით ჩამოყალიბდა ქართულ-ფრანგული პარიტეტული კომისია, განისაზღვრა კონკრეტული პირობები, რომელიც, ერთი მხრივ, უნდა შეასრულონ მესაკუთრეებმა, მეორე მხრივ, შესასრულებელია საქართველოს მიერ, რათა დაიწყოს მამულის გადმოცემის საჭირო იურიდიული პროცედურები.

**— რა პროცედურებია გასავლელი და დღეს რა ეტაპზეა მოლაპარაკებები?**

— მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს მთავრობამ 2015 წლის ზაფხულში გამოყო შესაბამისი თანხა, რათა მამულში ჩატარებულიყო, ერთი მხრივ, ტექნიკურ-დიაგნოსტიკური კვლევა (რომელიც სავალდებულოა მამულის გადმოცემისას საჭირო იურიდიული პროცედურების განსახორციელებლად) და, მეორეს მხრივ, ჩამოყალიბდა მსოფლიო მასშტაბის ექსპერტთა ჯგუფი, რომელთაც იმუშავეს მამულის ისტორიული მნიშვნელობის გააზრებაზე და მისი მომავალი პროგრამირების განსაზღვრაზე. შესაბამისად თანხის ერთი ნაწილი დაიხარჯა დიაგნოსტიკური ხასიათის სამუშაოებზე, ხოლო მეორე ნაწილი მამულის მომავალი ფუნქციონირების კონცეფციის ჩამოყალიბებაზე. ამ ყველაფრისათვის საელჩო დაუკავშირდა საფრანგეთის კულტურის სამინისტროს, მოვიწვიეთ მსოფლიო მასშტაბით მაღალი დონის ექსპერტები, არქიტექტორები, კულტურული მემკვიდრეობის განხრით, აგრონომი ფილოსოფოსები, შადრევნებისა და არქივების პროფესორები და 2015 წლის მეორე ნახევარში დავიწყეთ აქტიური მუშაობა.

რამდენიმე დღის წინათ კი, 19 იანვარს, საელჩომ მოწვეულ ექსპერტებთან ერთად ოფიციალურად წარადგინა ლევილის მამულის მომავალი ფუნქციონირების კონცეფცია. პირველი ეტაპი გახლდათ მფლობელებისთვის ჩვენი ხედვის წარდგენა. საინტერესო პრეზენტაცია გაკეთდა, რომელსაც ესწრებოდა პარიტეტული კომისიის ქართული კოლეგიის ხელმძღვანელი, საქართველოს სახელმწიფო მინისტრი დიასპორის საკითხებში გელა დუმბაძე და კომისიის წევრი, საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი.

**— რა თანხა გამოიყო ტექნიკურ-დიაგნოსტიკური კვლევებისა და მოწვეული ექსპერტებისთვის სახელმწიფოს მხრიდან და ამ კონსულტაციების შედეგად კონკრეტულად რა დაიგეგმება ლევილის მამულში, მას შემდეგ რაც საქართველოს გადმოეცემა?**

— არ შემიძლია არ აღვნიშნო ის მხარდაჭერა, რომელსაც საელჩო მუდმივად გრძნობდა მთავრობისა და კონკრეტულად ყოფილი და ახლანდელი პრემიერების მხრიდან. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, სწორედ ყოფილი პრემიერის დიდი მონდომებით მოხდა შესაბამისი თანხის გამოყოფა აღნიშნული კვლევის განსახორციელებლად.

თანხა სულ შეადგენს 107 000 ევროს, რომელიც 2015 წლის შემოდგომაზე გამოიყო მთავრობის მიერ.

გადმოცემის შემდეგ მამულში გაკეთდება ქართული აკადემია (ისტორიული, მეცნიერული, კულტურული მიმართულებებისა). ქართული აკადემია ორი ძირითადი მიმართულებით იმუშავებს, ერთი — ეს გახლავთ კულტურული ღონისძიებების შენარჩუნება-განვითარება, რომლებიც ახლაც ტარდება ლევილში, მაგალითად, დამოუკიდებლობის გამოცხადების დღის აღნიშვნა, ფრანგულ-ქართული დღე და ა.შ. და მეორე, ეს გახლავთ საქართველოს მოქალაქე ახალგაზრდა ისტორიკოსების, ხელოვანებისა და მეცნიერთათვის რეზიდენტურის შექმნა. წლიურად რამდენიმე მათგანი წარადგენს პროექტს, დამოუკიდებელი კომისიის გადაწყვეტილებით მოხდება შერჩევა, რითაც მათ მიეცემათ შესაძლებლობა ჩამოვიდნენ ლევილის ქართულ აკადემიაში და იმუშაონ მათ მიერ წარდგენილ პროექტებზე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მამული დარჩება ადგილად სადაც ჩამოვლენ ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდა მოქალაქეები და სადაც შეიქმნება, სხვადასხვა მიმართულებით, საინტერესო პროექტები. ბევრ განვითარებულ, კულტურაზე ორიენტირებულ ქვეყანას აქვს ასეთი აკადემია მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. ჩვენ ინსპირაცია ფრანგულ აკადემია „ვილა მედიჩიდან“ მივიღეთ, რომელიც იტალიაში 1666 წელს დაარსდა, ხოლო 1803 წლიდან გადმოტანილი იქნა ნაპოლეონის მიერ რომის ცენტრში, პინჩოს გორაკზე. ვილა მედიჩი შემოქმედებითი ინსტიტუტია, რომელიც განსაზღვრული პერიოდით მასპინძლობს ახალგაზრდა შემოქმედებს, რათა ხელი შეუწყოს მათი პირადი არტისტული პროექტების განხორციელებას. ჩვენ კი, კულტურას დავუმატეთ ისტორიული და აგრონომიული განზომილება, ბუნებრივია, სხვანაირად ვერც იქნებოდა.

**— საბოლოოდ, როდის მიიღებს საქართველო პასუხს ლევილის მამულის საკუთრებაში გადმოცემის თაობაზე?**

— ვარ ძალიან ბედნიერი და ძალიან ოპტიმისტი, რადგანაც ვნახე რაოდენ მოეწონათ წარდგენილი კონცეფცია მამულის მფლობელებს. ოჯახები ძალიან დადებითად არიან განწყობილნი. შთაბეჭდილება დამრჩა, რომ არ ელოდნენ ასეთი ხარისხის კვლევის ჩატარებას და ამგვარი კონცეფციის შეთავაზებას. ამაყი ვარ, რომ საქართველომ ეს შეძლო.

თებერვალის ბოლოს უკვე გვექნება კონცეფცია დასრულებული სახით, ხოლო თავად გადმოცემის პროცესი დასრულდება 2016 წელს, საელჩო ყველაფერს გააკეთებს, რომ გადმოცემა 2016 წლის პირველ ნახევარში მოხდეს.

* * *

**ლევილის მამულის ცენტრალურ ადგილას დგას 3-სართულიანი შატო (ციხე-სიმაგრე). ამ შენობაში ცხოვრობდნენ ნოე ჟორდანია, ნოე რამიშვილი, ქაქუცა ჩოლოყაშვილი... ამ მამულში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ექვთიმე თაყაიშვილი — წმინდა ექვთიმე ღვთისკაცი.**

**ანა ნოდია**

## ცინცხალი ანეკდოტები

**სვანს დეპეშა გაუგზავნეს — სასწრაფოდ ჩამოდი, გოგო შეგეძინაო.**
**— სანამ ბიჭი არ შემეძინება, არ ჩამოვალ! — კატეგორიულია სვანი.**

* * *

**— მაპატიეთ, ქალიშვილო, თქვენ ისეთი ლამაზი ხართ!**
**— ნუ ბოდიშობთ, თქვენ ამაში ბრალი არ მიგიძღვით.**

* * *

**— ქმარმა გასაოცარი, ზღაპრული და დაუვიწყარი ღამე მაჩუქა!!!**
**— რაო, იგი ასეთი ვნებიანი და დაუღლელი იყო?**
**— არა, იგი უბრალოდ გუშინ მივლინებაში გაფრინდა.**

* * *

**ორი დაქალი საუბრობს:**
**— მივდივარ ქუჩაში. ვხედავ, 100-დოლარიანი აგდია. გამიხარდა, მეგონა, რომ ვიპოვე. დავიხარე ასაღებად, ვიგრძენი, რომ თურმე გამოვიმუშავე...**

* * *

**წარწერა გურულის საფლავის ქვაზე:**
**— ახლა შენ ამას უნდა კითხულობდე და მე კიდე საფლავში უნდა ვიწვე?**



* * *

**გურულმა ქალმა ნერწყვი გადაყლაპა და მოიწამლა.**

**გამოიწერეთ:**
**6 თვით — 60 ლარი,**
**1 წლით — 120 ლარი.**
მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია — 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ — 2143906; „ელვასერვისი“ — 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ — 2 988 990; „პრესა-2012“ — 2341140; „ოლიმპი“ — 599 15 19 69; „პრესა+“ — 551555444; „ჯეომედია“ — 593 977 888.
ჩვენი მისამართია: ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის 7.
ხელმოწერის ინდექსი 66434

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
293-37-87
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24
გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაკ)070.4(479.22) ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გმადლობთ, რომ ყველაზე ძველ და სანდო გაზეთს კითხულობთ, ყოველი ნომრის შეძენით თქვენ აძლიერებთ „რესპუბლიკას“!